

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური

ძიებანი

XII

თბილისი

2015

**UDC (uak) 81373.6(0512)**

ე-871

**„ეტიმოლოგიური ძიებანი“** ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ არაბული** (მთავარი რედაქტორი)

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა ღლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა**

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ISSN 1987-9946**

## **ქლიფაშვიტა გავდილიანი, რიქნა ჭკადუა**

**არასარიტუალო პური-ს (დიწრ) ნაირსახეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზი სვანურში**

ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეთნიკური კულტურის სფეროში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამა თუ იმ ხალხის კვებითი კულტურა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია ქართული, მეგრული და სვანური კვებითი ტრადიციები.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ გამომცხვარი, არასარიტუალო პურის ნაირსახეობა და ცხოზასთან დაკავშირებული ლექსიკა სვანურში.

სვანურში **პურის** აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულს **დიწრ** ზს. ლნტ. **დიარ** ლშხ. წარმოადგენს, რომლისგანაც იწარმოება მთელი რიგი სიტყვები: **დირო-ობ** „პურობა“, **ლი-დიარ-წლ** „პურის (საჭმლის) ჭამა“, **მე-ლ-დიარ** „მჭამელი“, **ლი-დიარ-ი** „ჭმევა“, **მე-დიარ-ი** „მჭამელი, გამმასპინძლებელი“, **ლე-დიარ-ი** „გამოსაკვები“, **ლა-ლ-დიარ** „ზაგა, სადაც საქონელს საკვებს უყრიან“ და ა. შ.

ქართულში ტერმინი **დიწრ** არ დასტურდება, ხოლო მეგრულში **პურობისა** და სემანტიკურად მასთან ახლოს მდგომი მნიშვნელობის აღსანიშნავად იზმარება **დიარა**.

მეგრ. **დიარა** „ნადიმი, პურობა, ლხინი, ქორწილი; ძოვა“ **დიარა-აფა** „ჭმევა, ძოვება“.

**დიარა**-ფილი „ჭმეული, გამოკვებული“

**დიარუა** – „ძოვა, ბალახობა“ და ა. შ. (ქობალია, 2010: 240).

ქართული სახელწოდება **პური** მიგრაციულ ტერმინად არის მიჩნეული (ინდოევროპული ენებიდან შესული სხვა სისტემის ენებში). ი. ჯავახიშვილი **პურ**-ს ბერძნულ ὀ ψυρος-თან აკავშირებს, რომელიც, მისი თქმით, ძვ. ბერძნულში ცხენის საკვებს ნიშნავს, თუმცა ა. ვეისმანის „ბერძნულ-რუსული“ ლექსიკონის მიხედვით ძვ. ბერძნულში ψυρος ὀ ნიშნავს **ხორბალს**, ψυριον το **ხორბლის პურს**.

ქართულ **პურ**-სა და სვანურ **პუმ**-ს (ერთგვარი საჭმელი ბალახი) ერთმანეთს უკავშირებს მ. ჩუხუა („ზანურსა და სვანურში ადვილი დასანახია **რ→შ** პროცესი“ (მ. ჩუხუა, 2008: 454).

თვითონ ლშხ. **პუმ**-ს და ლეჩხუმურ **პურშა**, **პურშო**, **პურშუე**-ს ერთმანეთს უდარებს ი. ჩანტლაძე და სემანტიკურ-ფორმოზოგი კვლევის შედეგად, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ანალიზის „ძალზე რთული საფეხურებით“ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „**პერშან/პუმ/პიშე** ალბათ, ერთი და იმავე ბალახის სხვადასხვა დიალექტური ვარიანტია!“ (ჩანტლაძე, 2014: 187, 188).

ელ. გაზდელიანის ვარაუდით, ლშხ. **პუმ** მიღებულია ლეჩხუმურ **პურშა**-დან და ნიშნავს პურში (ხორბალში) გარეულ ბალახს (**პუმ** ← \***პურ-შ-ი**) ეს ბალახი ამოდის ხორბლის ნათესებში და იყენებენ როგორც ფხალეულს.

**დიარ** სვანურში აღნიშნავს როგორც ჩვეულებრივ სადავ დღეებში მისართმევ, ისე სარიტუალო პურს. ორივე შემთხვევაში იგულისხმება, ერთი მხრივ, ჩვეულებრივი, გულსართის გარეშე გამოცხვარი და ასევე სხვადასხვა გულსართიანი პური.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება მხოლოდ არასარიტუალო დანიშნულების **პურის** აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

ჩვეულებრივ **კვახ დიარს** (გულსართის გარეშე გამოცხვარს), როგორც ალ. დავითიანი წერს: **სადაგ ლადაღარჟი აწყეხ, იმაშ დე ირი აშვდ ხაბყახ. ნანკდ ლაქვისგჟი ხოშალადალ იმაშ ლი, ეჯი ნამშიშ ჟახე ხატყუზა: კენემ დიარ, ჭკიდ, სიმინდიშ ჭკიდ (სიმინდიშ დიარ), ჭემნიშ, ფეტვრაშ დიარ, გვაწაშ დიარ (ფეტვრაშ ითქს ხეჩდა, ნეცინგარ ითქილდარ ხარ, გამლისგა ხოლა ლი, ჯიც მენშგვე ხამთქვა** (ალ. დავითიანის ხელნაწერის მიხედვით). „კვახ (ცარიელა) პურს სადავ დღეებში აცხოვენ. რისიც არ უნდა იყოს, ერთნაირად ჰქვია. ცალკე თქმისას პურთან ერთად ასახელებენ იმ მარცვლეულის (მოსავლის) სახელს, რისგანაც ის არის: ხორბლის პური, მჭადი, სიმინდის მჭადი (სიმინდის პური), ქერის, ფეტვის პური, გვაწის პური (ფეტვის მარცვლეულს ურევია, წვრილი კაკლები აქვს, გემოთი არ ვარგა. ცომი კი რბილი იცის)“.

აღ. დავითიანს ხელნაწერში, რომელიც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ქართველურ ენათა განყოფილებაში ინახება, პურის თითქმის ყველა სახეობა აქვს ჩამოთვლილი და დახასიათებული, რაც კი ცხვებოდა სვანეთში და ცხვება უმეტესად დღესაც.

მიუხედავად სახნავ-სათესად ვარგისი მიწის სიმცირისა, სვანეთში მძიმე შრომის ფასად მოჰყავდათ სხვადასხვა მარცვლეული, რომლის დამუშავებას და შენახვას დიდი გულმოდგინებით და მოწიწებით ეკიდებოდნენ. მკაცრი ბუნებრივი პირობები (უგზოობა და ხანგრძლივი ზამთარი) აიძულებდა იქაურ მოსახლეობას მცირე სავარგულებზე რაც შეიძლება მრავალნაირი მარცვლეული მოეყვანა, რათა ოჯახს ძირითადი საკვები „გამომცხვარი პური“ (იქნებოდა ეს ხორბლის, ჭვავის, ქერის, ფეტვის და ა. შ.) ჰქონოდა მთელი წლის მანძილზე. ამავ დროს, თავიანთი ფანტაზიით ამ პროდუქტის (პურის) მრავალსახეობას ქმნიდნენ.

სვანეთში პირველ ადგილზე იდგა ხორბლის პური (**კუტეცნა დიარ**). იქაური მცხოვრებნი აღნიშნავენ, რომ **კუტეცნ** „ხორბალი“ ადრიდანვე იყო სვანეთში და სიმინდევით ახალი შესული არ არის. ლაშხურ ტექსტებში ვკითხულობთ: **მეწეხეი კვეცნლა მაგ ხეთხი მარეს, კუმაშ ხეკვდიან, იშგენ მალე. კვეცნლა მაგ თეს იცხკე, ეაფი ხეთხელი მაგ** „საჭიროებისას ხორბალზე ყველაფერი ეშოვება კაცს, საქონელი იქნება თუ სხვა რამ. ხორბლისთვის თვალს ითხრის ყველა, ისე ეძებს ყველა“ (ლშხ. IV, 226). იქვე ვკითხულობთ: **წყილიან კვეცნა დიარს აწყებ განგალ ლადლარეიგარ-თანაფს, ზომხას, ლაგვნობში ილეჯგრი-ლეფნად, ოდო მენურდ ლეზობდ დარ ისრე** „წმინდა ხორბლის პურს (სხვა მარცვლეული რომ არ ურევია) მხოლოდ დიდ დღეებში აცხობენ – აღდგომას, ახალ წელს, გასვენებაში და საკურთხ-წასადგმელად, თორემ უიმისოდ საჭმელად არავინ იმეტებს“ (იქვე).

ხორბალს არა მხოლოდ სვანეთში, არამედ მთელ საქართველოში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. მაგ. მას მთიულურში „საწმიდარს“ ეძახიან : ხატობა-დღეობისათვის და ქორწილისთვის ინახავენ. ქერს, სიმინდსა და დიკას „საჯალაბო“ ჰქვია (კაიშაური 1967: 109).

უნდა შევნიშნოთ, რომ სვანეთში ხორბლის წმინდად მოწევა გულისხმობდა სამეურნეო საქმიანობისას ქალისა (დედათა წესი არ უნდა ჰქონოდა) და სოფლის (სოფელში მიცვალებული არ უნდა ყოფილიყო) სიწმინდეს. **კვიცნგრა-ც** „ხორბლეული“, ასევე წმინდად უნდა შენახულიყო. კიდობანს, სადაც ის ინახებოდა „უწმინდური“ ქალი არ უნდა მიკარებოდა, რადგანაც ამ ფქვილისგან სარიტუალო პურეული ცხვებოდა (წერედიანი 2003, ტ. I: 32).

სვანურ დიდ ოჯახში ზოგჯერ სამოცამდე ადამიანი ცხოვრობდა. ასეთ ოჯახში პური დღეში ორჯერ ან სამჯერ ცხვებოდა. პურს ოჯახის უფროსი ქალი (**ხოშა ზურალ**) **დისხალ** „დიასახლისი“ აცხობდა, რომელსაც **მე-რბ-ი-ელ** ბზ., **მე-რბ-ელ** ბქ., **მე-რბი-ელ** ლშზ., **მგ-რბ-იელ** ლნტ. **მე-მარ-ალ** ლხმ. ჰქვია, ხოლო ცხობის პროცესს **ლი-რბი-ელ** „ცხობა“ (შდრ.: და-რბილ-ებ-ა). მ. ჩუხუა ვარაუდობს, რომ -**რბ-** ზმნური ფუძის კვალი სახელურ ე-**რბ-**ში უნდა ვეძიოთ (მ. ჩუხუა, 2000-2003). გარდა ზოგადი სახელისა **მერბიელ** // **მემარალ**, პურის ცხობაში ჩართული არიან **მგ-წყ-ე** „გამომცხობი“ (**მგ-წყ-ე წაყ** შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ **წყაყა**-ს, რადგანაც ხდება ცომის გაბრტყელება გაშლილი ხელით, მუჭით და ა. შ.) და **მგ-ჭ-ი** რომელიც უშუალოდ ცეცხლზე (კერაზე, ღუმელზე) მოთავსებულ პურს პატრონობს.

ცომ-ს სვანურად **ჯიც** ეწოდება. სვ. **ჯიც**-ს მ. ჩუხუა უკავშირებს ზანურ (ლაზურ) **ქც-// -ხც-** და მეგრულ **რც←ქც** ძირების შემცველ ლექსემებს, **რც-უ-ფა** „დაძველება, დამყაყება“, **რც-უ-აფ-ი-ლ-ი** „მყაყე, ბებერი“. საერთო-ქართველური ფუძე ენისათვის ადადგენს \***ჯიც** არქეტის და უკავშირებს ს.-ნახურ **დამძაღების** აღმნიშვნელ სიტყვას **ჰაგ-** (ჩუხუა 2008: 660,661). ვფიქრობთ აღნიშნული მოსაზრება საფუძვლიანია, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ცომის (**ჯიც**) მომზადება – მოხელა აღინიშნება ნაირგვარი ტერმინებით, რასაც განაპირობებს, რიგ შემთხვევაში, დიალექტური განსხვავებულობა, ან ამ საქმიანობის სხვადასხვა ეტაპებზე მინიშნება. მაგ.:

ბზ. **ლი-შგურდ-ენ-ი**, **ლი-ბურდ-ენ-ი**, **ლი-ჰნჭი-ი**, **ლი-ბრინჭი-ი**, ბქ. **ლი-ბურდ-ი**, **ლი-ჰტი-ი**, ლშბ. **ლი-ცომ-ატი-ი**, **ლი-ბურდ-ინ-ე**, **ლი-მჭი-ე**, ლნტ. **ლი-ცომ-ატი-ი**, **ლი-ი-ჭი-ე**, **ლი-ჭურ-ე**, **ლი-ბურდ-ტი-ინ-ე**, **ლი-ბრინჭი-ე** (დაბეგვა). სამეცნიერო ლიტერატურაში ბზ. **ლი-შგურდ-ენი**-ს ანალიზის შედეგად მიჩნეულია, რომ ს. ქართვე. \***თურგ-უნ** „სრესა, ზელა“ → ქართ. **თრგ-უნ** (საბას მიხედვით) სვან. **შგურდ-ენ** ← **შდურგ-ენ** (ჩუხუა 2000, 2003: 295).

სრულიად ნათელია, რომ ლი-**ბურდ-ი** იგივეა, რაც ლი-**ბურდ-ალ**... „აბურდვა, არევ-დარევა, არეულობა“. აღნიშნავს ცომის მოზელების პირველ ეტაპს, როდესაც ხდება ფქვილისა და წყლის ერთმანეთში არევა.

ლი-**ჰტი-ი** და ლი-**ჭ-ურ-ე** საერთოქართველური \***წტი(-ელ-)**-იდან (წველა) მომდინარედ არის მიჩნეული „**ჭტი**“ ძირი მოზელების მნიშვნელობით ჩანს სხვა საერთოსვანურ ფუძეშიც: ჰრ-**ჭტი** ბზ., **ჰტი-ი** ← ჰი-**ჭტი** ბქ., რ-**ჭტი** ლშბ., ი-**ჭტი** ლნტ. „მოზელა, ზელა“. „...წველა/მოზელა სემანტიკურ მიმართებას წინააღმდეგობა არ ახლავს“ (ჩუხუა 2000-03: 387). **ლი-ცომ-აგ-ი-ს** შემთხვევაში სალაპარაკო არაფერია, რადგან ქართულში სოფ დიალექტშიც გავრცელებულია ტერმინი „მოცომვა“, **ცომის** მოზელის მნიშვნელობით.

რაც შეეხება ლი-**ჭ-ი-ს**, რაც ნიშნავს (კერაზე, ღუმელზე...) მოთავსებული პურის პატრონობას, ძირისეული **ჭ-** საერთოქართველური ფუძე-ენის \***წტი**- წვა, ტკივილი არქექტივიდან მომდინარედ არის მიჩნეული (კლიმოვი 1998: 304; იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 2000: 664).

მრავალნაირია ჩვეულებრივი, არასარიტუალო, მთიულური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „საჯალაბო“, გულსართის გარეშე გამოცხვარი პური სვანურში:

**ჭურუ** (უსაფუვრო, მრგვალი პური)

**კუბახ** (საფუვრიანი, ჩვეულებრივი პური)

**უსპა** (გადაუბრუნებელი საფუვრიანი პური) შდრ. **ლი-სპ-ე** „გადაბრუნება“.

**ლგ-სპე** (გადაბრუნებული, ორივე მხარეს გამომცხვარი პური)

**უშდბა** (ამოუსვლელი, გადაუბრუნებელი ქს.)

**ყურბუთილ** (კარგად აფუებული ხორბლის ცომისგან გამო-  
მცხვარი... შდრ. ქართ. **ყურბი** სვან. **ყურბ** – „ესე არს საცეცხლე, კე-  
რის ადგილი“ (საბა). სვანური ფორმა. აღნიშნავს ყურბში გამო-  
მცხვარ პურს.

**გომიჯ** (ყველფში გამომცხვარი მრგვალი პური)

**ლგ-სგიმ** დიარ (ვემათი მოხელილი პური) **სგიმ** „ვემა“.

**ლავაშ** (ლავაში)

**შოთ** // **შუეთ** (შოთი პური) ცხვებოდა იმ შემთხვევაში, როცა  
ახალნამშობიარევი ქალის სანახავად, მოსაკითხად მიდიოდნენ. ის  
მოსაკითხის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო.

**კოტეტ** (ლავაში, ერთი მხარე სქელი და მრგვალი, მეორე მხა-  
რეს თხელი). შდრ. **კოტეტ**, **კოტოშ** – „კოტა, კეხის ან უნაგირის ტახ-  
ტა“.

**ქერჯენ** (ნაცარში გამომცხვარი მჭადი) შდრ. ოსური **ქარძნ**  
„პური“. გამხმარი მჭადი... **ქერჯინა** პური ოსურად, ქერის ფქვილი-  
საგან გამომცხვარი (ლიპარტელიანი, 2014).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პურის დასახელება სვანურში  
ხდებოდა იმის მიხედვითაც, თუ რისგან (რომელი მარცვლეულისა-  
გან) იყო გამომცხვარი:

**კუეცნემ** დიარ (ხორბლის პური)

**მანაშ** (საფურციანი ჭვავის პური. როგორც პური იშვიათად  
ცხვებოდა, უფრო გარეთა კანისთვის იყენებდნენ).

**ფეტვრაშ დიარ** (ფეტვრაშ ჭკიდ) – **ფეტვრალ დიარ**, **ეშიეში თე-  
მი მრად ორი**, **მნმა ეს ხასამი**, **მარა თემიეი იზიხი ფეტვრალ დიარსრ)**  
„ფეტვის პური, თუ მაინცდამაინც დიდი გაჭირვება არ არის, არავის  
სიამოვნებს (მოსწონს), თუმცა გაჭირვებისას ფეტვის პურსაც მიირ-  
თმევენ“ (ლშხ. ტექსტ. IV, 230).

**ლეზიაშ დიარ** – ბქ. **ლოზიარ** ლშხ. **ლოზიოი დიარ** ლნტ. ეს არ  
უნდა აგვერიოს „ლოზიანში“. ლოზიოს პურისთვის ლოზიოს ფქვაკ-  
დნენ და პურად აცხობდნენ. **ლოზიაშ დიარ გუ ხაგუნა ი მარა მო-**



**ლიდგარ ხაკუტდინა** „ლობიოს პური ანაყრებდა და კაცს ცოტადა სჭირდებოდა“ (ალ. დავ. ხელნაწერი).

**ქერი დიარ** – ქერს პატარა „შაფათილებად“ აცხოვდნენ და ძალიან მოსწონდათ.

სვანეთში დიდად იყო გავრცელებული სიმინდი. ქვემოსვანი მთქმელი მას **შვანე მესგლევე**-ს „სვანეთის გადამრჩენს“ უწოდებს. სიმინდის ფქვილისგან ცხვებოდა და ახლაც ცხვება მჭადი – ბზ. **კუჭში**, ლშხ. **კუჭში**, ლნტ. **კუჭში**, ბქ. **ჭკიდ**; ბზ. **ჭკვდ** „მჭადის კვერი“.

კიდევ უფრო მრავალნაირია გულჩართული (**ღეჩიდ**) პური სვანეთში, ანუ **ქუთ**. გარდა იმისა, რომ ყველჩართულ პურს ხაჭაპური ჰქვია ზს.-ში გულსართის სახეობის მიხედვით სხვადასხვა დასახელების ხაჭაპური (ქუთ) გვაქვს ზემოსვანურში. ა. დავითიანი წერს: **ქუთ მუშვნიერ თხუმდ თაშვემ ღეჩიდს ხაშხა ი ეჩქანღვე მოშ-მოშ ნაჩდუნ მწ დე ირი: გარდვიშ, ლეზია, ჩიგინდვირ, ხახვ ი შმკალიზ ლახა ხერდა ეჯისი ქუთს ხაყლუხ, მარე ამკალიზ ქუთარს ნაჩდუნიშ ჟახე ქუთს სგა ხატყუზა** „ხაჭაპური (ქუთ) პირველრიგში მხოლოდ ყველჩართულს ჰქვია და შემდეგ სხვადასხვა ჩასართავი რაც იქნება: კარტოფილი, ლობიო, ჭარხალი და სხვა რამე, რაც ურევია, იმასაც ხაჭაპურს ეძახიან, მაგრამ ასეთი ხაჭაპურის დასახელებაში გულსართის სახელი არის აუცილებლად“ (ალ. დავითიანის ხელნაწერი).

გულსართის მიხედვით ხაჭაპურის (ქუთის) სახეობანი: სვან. **ქუთ** სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ქართ. **ქადა**-სთან (მ. ჩუხუა) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ქუთ** „ხაჭაპური“ უკავშირდება სვანურში არსებულ **ქუფ**-ს „კიდობანი, ბუდე, გაწურული ყველის შესანახი ჭურჭელი“.

ხაჭაპურის (ქუთ) ნაისრახეობა სვანურში:

**დაჰარ (გაჰარ) ქუთ** – „მხოლოდ ყველჩართული“

**ლგდეს ქუთ** – „ქონჩართული – ყველი და მუცლის ქონი ერთმანეთში შეზეულილი და გარედან ცომშემოკრული“ **ღესე** „ქონი“

**ქართობლარ** ბზ., **ქართოფლარ** ლშხ., **ქართოფილი დიარ** ლნტ. **გარდვიშიშ ქუთ** ბქ. „კარტოფილიანი ხაჭაპური, შეიძლება კარტოფილში ყველიც იყოს შეზეულილი ან უყველო“

**ჩიგინდვირიშ ბაღემ ქუთ** – „ჭარხლის ფოთლის ხაჭაპური“, **ხახვშ ბაღემ** – „ხახვის ფოთლის“, **კაკშ** „ნიგვზის“, **გიმზშიშ** „კანაფის“, **ღებაშ** „ლობიოსი“, **როგშ** „ცერცვის“ და ა. შ.

ქვემოსვანურში ყველჩართულ პურს (მხოლოდ ყველიან ხაჭაპურს „თაშწარს“ ლშხ. **თაში დიარ** ლნტ.ეძახიან, კარტოფილიანს „**ქართოფლწარს**“, ცერცვიანს „**ღედწარს**“, ლობიანს „**ლობწარს**“ ლშხ., თუ ხაჭაპურში სიმინდიანი ან ფეტვიანი ყველია ჩართული, მას **ლუკწა დიარს** უწოდებენ. „**ლუკწა დიარ**“-ს შეიძლება გარედან ჭვავის ფქვილის ცომი ჰქონოდა შემოკრული (ხორბლის ფქვილის უქონლობის გამო) და სადავ დღებში სიამოვნებით მიირთმევდნენ. **ლუკტ-ე** ზს. **ლუკწარ** ლშხ. **ლუკტწარ** ლნტ. გამოიყოფა **ლუ** – ე ზს., ლნტ. **ლუ** – წარ კონფიქსები ძირია **კტწარ-კტწარ** (გდება, ჩავდება).

**ფეტვწარლ თაშღწარგდე** – ყველჩართული ფეტვის პური. თვითონ ფეტვის მჭადს მხოლოდ დიდი გაჭირვებისას აცხოზდნენ, რადგან მაგარი და შავი გამოდიოდა, თუ ყველში აზელილ ფეტვს გარედან შემოაკრავდნენ ჭვავის ან ქერის ცომს, სასიამოვნო საჭმელი იყო.

**გიმზწარ, გინზწარ** ზზ., **გიმზწარ** ლშხ., **გიმზაწარ** ლნტ. (კანაფის თესლშერეული ყველიანი პური ან უბრალოდ კანაფის თესლისგან, უყველოდ გამომცხვარი).

სვანურში **კანაფს** ჰქვია **ქან**, ხოლო კანაფის თესლს **გიმზაშ**..., კანაფიანი პურის სახელწოდებაში ხან ფიგურირებს **ქან** სახელწოდება, ხან კი **გიმზაშ**.

**ქენწარ** ლშხ., **ქენწარ** ლნტ. (კანაფის თესლის გულიანი პური).

განსაკუთრებით პოპულარულია შეკმაზული ხორცის გულსართიანი პური – ზზ. **კუზწარ**, ბქ. **კუზწარ**, ლშხ. **კუზწარ**, **კუზაწარ**, **კუზაწარ დიარ**, ლნტ. **კუზაწარ** // **კუზაწარ დიარ**. (**ლი-კტწარ-ი** „დაკეპვა“) ხშირად აცხოზენ **ყანწარ-ს**, რომელსაც ხორცის მაგივრად შეკმაზული ქონი აქვს ჩართული. გარედან შემოაკრავენ ქერის, ხორბლის ან ჭვავის ცომის ქერქს და ასე აცხოზენ. **აშ სიმინდი ნატფეწარ-ი ჩუ ხაყა ნატფეწარ** „ისე სიმინდის შემოსაკრავი ქერქიცი კი ვარგა შემოსაკრავად“ (ლშხ. 235).

ზემოგანხილული პურის სახეობებისა და მისი აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების გარდა, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა სარიტუალო (**ლემზირ**, **ტაბელ**) პურეული, რაც საგანგებოდ შესწავლას საჭიროებს. ივარაუდება ამ კუთხით კვლევებიების გაგრძელება.

### **ლიტერატურა:**

**დავითიანი 1943:** ა. დავითიანი, ხელნაწერი მასალა დაცულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

**ლიპარტელიანი 2014:** ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი.

**ქობალაია 2010:** ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩანტლაძე 2014:** ი. ჩანტლაძე, სვანეთის ფლორა I, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003:** მ. ჩუხუა, ქართველურ ენათა – კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2008:** მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**წერედიანი 2005:** ნ. წერედიანი, სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1930:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი.

**სვანური პროზაული ტექსტები VI, 1979,** ლაშხური კილო, თბილისი.

**Elizaveta Gazdeliani, Roena Tchkadua**

**Analysis of Nonritual Bread(Diär)Varieties  
and the Related Vocabulary in Svan**

Summary

The Svan data related to food traditions are represented as one of the significant specialized vocabularies, in particular, diverse names concerning bread varieties are emerged. This time we discuss the vocabulary related to nonritual bread varieties. We distinguish two main groups: 1. Bread without fillingsbaked with various cereals (the varieties of cereals are pointed out in the names of bread); 2. Bread with fillings.

## რადოსლავ კანაკოვსკი

სამართო იბერიულ-კავკასიური ლექსიკონი:

ქართ. ტყუბი/ტყუბი. ყყვილი. ყუნცული და

ორტყუ/ორთსუ, ბორტყუა შუამთა აგგულებისა

და წარმოგებლობისათვის

უკვე ივანე ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილული არსებითი სახელები „ტყუბი“/„ტყუბი“ და „წყვილი“ სავარაუდოდ დამყარებულია საზიარო ძირზე და შედის სიბერიულ-კავკასიურ ლექსიკაში (ჯავახიშვილი 1937, 261-424), მაგრამ გასარკვევია ურთიერთმიმართება მათ შორის. ეს საინტერესო საკითხი ითხოვს უხვი შედარებითი მასალის გამოწვლილვით ანალიზს როგორც ქართველურ, ისე მთის კავკასიურ ენათა გათვალისწინებით.

განსახილველ სიტყვათა მორფემური სეგმენტაცია გათვალისწინებით:

**წ-ყვ-ილ-ი** < \*წ-ყუ<sup>^</sup>-ილ-ი, სადაც ძირეული ნაწილია: -ყვ- < \*-ყუ<sup>^</sup>- < \*-ყ<sup>o</sup>- < \*-ყ<sup>o</sup>-.

ძირის ბოლოკიდური -ი- ხმოვანი და -ილ- სუფიქსის თავკიდური ხმოვანი დაექვემდებარა კონტრაქციას: -ი-ი- > -ი- და იმის შედეგად საზღვარი ძირსა და სუფიქსს შორის დაჩრდილულია.

**ტ-ყუ-ბ-ი** < \*თ-ყუ-ბ-ი, სადაც ძირეული ნაწილია: -ყუ- < \*-ყ<sup>o</sup>- < \*-ყ<sup>o</sup>-.

ძირეული ხმოვნის ბგერითი ცვლილება მდგომარეობს პროგრესულ ლაბიალიზაციაში. ამის მომდევნო თანხმოვნის ლაბიალური კონტრაქტულაცია ჩაქრა.

ზემოთ მოყვანილ რეკონსტრუქციას ადასტურებს სვან. **ტ-ყუ<sup>^</sup>-ი-ბ**, სადაც დაცულია სახელური ძირის ამოსავალი ფონეტიკური სახე.

რაც შეეხება სიტყვა **ტყუბს**, მისი აგებულება არ არის მთლიანად ცხადი, მაგრამ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავკიდური ხმოვლი თანხმოვანი წარმოიქმნა ამოსავალი აფრიკატის დესპირანტიზა-

ციის შედეგად: ტ- < \*წ-. ასეთი ცვლილება შეიძლება იყოს ინტერ-პრეტირებული, როგორც ასიმილაციური პროცესი: \*წყ- > ტყ- (ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით), რომელიც განხორციელდა სიტყვა წყვილის მიმართ ჰომოფონიის თავიდან ასაცილებლად (შდრ. ქვემოთ).

იქნებ, გამორიცხული არ არის, რომ როგორც თავკიდური, ისე ბოლოკიდური ხშული წარმოადგენს გაქვავებულ კლას-ნიშანს. მაშინ ამ სიტყვის განვითარება ასე უნდა აღდგეს: \*დ-ყუ-ბ- > \*თ-ყუ-ბ- > ტ-ყუ-ბ-.

იქიდან გამომდინარე, რომ ამოსავალი კლას-ნიშნები იყო მხოლოდ მჟღერი ხშული თანხმოვნები, გვიანდელი დაყრუება და შემდგომი აბრუპტივიზაცია შეპირობებული იქნებოდა ბგერითი გარემოცვით, მაგრამ ქართულში არ გვხვდება სხვა სახელები, რომლებშიც დასტურდება ორი გაქვავებული კლას-ნიშანი. ჩემი მოსაზრებით ეს არგუმენტი პირველი ჰიპოტეზის სასარგებლოდ მეტყველებს.

შემოწმებულია აგრეთვე ამ სიტყვის მეორე ვარიანტი: „ტყუპი“, ორ აბრუპტივთან. აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აბრუპტივიზაცია ბოლოკიდურ მარცვალში მეორეულია და განხორციელდა დისტანციური პროგრესული ასიმილაციის შედეგად:

ტყუბ-ი > ტყუპ-ი, სადაც: ტ-ბ- > ტ-პ-.

ვვიქრობ, სიტყვა წყვილი წარმოშობით არის მეორეულად ლექსიკალიზებული კომპოზიტი, რომელშიც ამოსავალი საზღვარი ორ წევრს შორის შემდეგნაირად წარმოდგება:

წ-ყვ- < წ-ყუ<sup>^</sup>- < \*წ-ყ- < \*წი-ყ- < \*წი-ყ<sup>o</sup>-

მეორე წევრი შემონახულია ზემოთ განხილულ არსებით სახელში ტყუბი, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია ამოსავალი ვოკალიზმი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ სიტყვის პირველი წევრი: წ- < \*წი-.

ჩემი შეხედულებით, ის ეტიმოლოგიურად უკავშირდება „ორის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს დაღესტნურ ენებში, მაგ.:

ანდ. ჭე-გუ < \*წე-გუ < \*კე-გუ < \*კი-გუ; ბავგ. ჭე-და < \*წე-და < \*კე-და < \*კი-და.

ხუნდ. კი-გო; კარ. კე-და; ლაკ. კი-უ<sup>ა</sup>; ხინ. კუ.

აღდგება საერთო დაღესტნური ძირი: \*კი-.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია მოსაზრება, რომ საშუალო აწეულობის ხმოვნები დაღესტნურ ენებში განვითარდა მაღალი აწეულობის ხმოვანთა არტიკულაციის დაწვევის შედეგად: \*ი > ე; \*უ > ო, თუმცა რეფლექსები ძალიან განსხვავებულია (არდოტელი 2009, 44-61; ჩიქობავა 1979, 49).

ამის შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ ძირებშიც ბოლოკიდური ხმოვანი -ე შეიძლება მეორეულად იყოს მიჩნეული. მომდევნო წინა რიგის ხმოვნის ზეგავლენით ამოსავალი ველარული ხმული გადავიდა სისინა აფრიკატში: \*კი-/\*კე- > \*წი-/\*წე-. შემდგომ საფეხურზე სისინა აფრიკატმა განიცადა გაშიშინება: \*წი-/\*წე- > ჭი-/ჭე-.

დამტკიცებულია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტურ სისტემებს ახასიათებს სპირანტთა და აფრიკატთა უკან გადაწვევის ტენდენცია. ამის თანახმად, ივარაუდება, რომ შიშინა რიგის თანხმოვნები წარმოქმნილია სათანადო სისინა რიგის თანხმოვნებისაგან (აბაშია 2010, 150). ამაზე დაყრდნობით, ზემოთ მოყვანილ რეკონსტრუქციაში პოსტულირებულია შუალედური საფეხური: \*წი-/\*წე-.

ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა ის, რომ სისინა აბრუპტივი აფრიკატი დაცულია ქართულ სიტყვაში წყ-ყ-ილ-ი, თუმცა ეს არ არის შემოწმებული არც ერთ სხვა ენაში.

მაშასადამე, ქართ. წყ-ყ-ილ-ი უნდა მომდინარეობდეს \*წი-ყ-ილ-ი-ისგან. ფონეტიკური ცვლილება მდგომარეობს ხმოვნის სინკოპეში თავკიდურ მარცვალში.

რაც მთავარია, თავკიდური აბრუპტივი აფრიკატი აქ ამოსავალია.

ანალოგიური პროცესი გვხვდება სიტყვაში წყალი, რომელიც შემდეგნაირად აღდგება:

წყ-ალ-ი < \*ც-ყ-ალ-ი < \*ცი-ყ-ალ-ი (შდრ. ხუნდ. ი-ც „წყარო“).

ამ შემთხვევაში თავკიდურმა აფრიკატმა განიცადა მეორეული აბრუპტივიზაცია.

მთის კავკასიურ ენათა მონაცემები გვიჩვენებს, რომ ზემოთ განხილულ სიტყვებში აღდგენილი ძირი: \*ყ<sup>o</sup>-/\*ყ<sup>a</sup>- უნდა იყოს პოსტულირებული უკვე საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძეენაში, შდრ.:

უბ. ტ-ყ<sup>a</sup>; ჩერქ. ტ<sup>o</sup>-გ < \*ტ-ყ<sup>o</sup>გ < \*ტ-ყ<sup>a</sup>;

დიდ. ყა-ნო: ყა- < \*ყა- < \*ყ<sup>a</sup>-; ჰინ. ყო-ნო: ყო- < \*ყ<sup>o</sup>- < \*ყ<sup>a</sup>-;

ხვარშ. ყუ-ნე: ყუ- < \*ყუ- < \*ყ<sup>o</sup>უ- < \*ყ<sup>o</sup>- < \*ყ<sup>a</sup>-; არჩ. ყ<sup>o</sup>ე < \*ყ<sup>o</sup>ე < \*ყ<sup>o</sup>ე-დ < \*ყ<sup>a</sup>-დ;

უდ. პა < \*პ<sup>a</sup> < \*ყ<sup>a</sup> < \*ყ<sup>a</sup> „ორი“;

ჩერ./ინგ./ბაცბ. ტ-ყა < \*ტ-ყ<sup>a</sup>;

ხუნძ. ყო-გო: ყო- < \*ყ<sup>o</sup>- < \*ყ<sup>a</sup>-; დიდ. ჳუ < \*ყუ < \*ყ<sup>o</sup>უ < \*ყ<sup>o</sup>- < \*ყ<sup>a</sup>;

უდ. ყა < \*ყ<sup>a</sup> „ოცი“.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ორი ქართული სიტყვა, რომელთა წარმოშობა იყო განხილული უკვე ი. ჯავახიშვილის მიერ, სახელდობრ:

ა) **ყუნცული** „სამ-ურმეული ძნა“;

ბ) **ორტყუ / ორთხუ** „ოთხი“, შდრ. აგრეთვე: **ბორტყუა** „ოთხით სვლა“ (ჯავახიშვილი 1937).

ზემოთ მოყვანილ სიტყვათა აგებულება შემდეგნაირად წარმოდგება:

ა) ყუ-ნ-ც-ულ-ი;

ბ) ორ-ტყუ / ორ-თხუ; ბ-ორ-ტყუა.

პირველი სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება შემდეგნაირად აღდგეს:

„ორი და ერთი“ [2 + 1].

ამ კომპოზიტის საწყისი წევრი ყუ- პირდაპირ უკავშირდება არსებით სახელ ტ-[ყუ]-პ-ს.

მისი განვითარება რეკონსტრუირდება:

ყუ- < \*ყ<sup>o</sup>უ- < \*ყ<sup>o</sup>- < \*ყ<sup>a</sup>- (იხ. ზემოთ).



ცხვირისმიერი სონანტი განვითარებული სეგმენტია: **ყუნ-ც-ულ-ი** < \*ყუნ-ც-ულ-ი, შდრ.:

ძვ. ქართ. წმიდა > ახალი ქართ. წმი-ნ-და.

მეორე წევრი -ც-ულ-, სადაც -ც- არის ძირი და -ულ- სუფიქს-დეტერმინანტია, უკავშირდება დაღესტნურ ენათა „ერთის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს, მაგ.:

დარგ. / ლაკ. ცა < \*ცა;

უდ. / ხინ. სა < \*ცა;

ახვ. ჩე-ბ-ე < \*ცე-ბ-ე < \*ცა-ბ-ე;

ხუნძ. ცო < \*ცო-გო < \*ცე-გო < \*ცე-ბ-გო < \*ცა-ბ-გო „ერთი“.

აქ განხილულ რიცხვით სახელში სუფიქსის გახმოვანება მეორეულია და -ულ- უნდა მომდინარეობდეს ადრინდელი \*-ალ- ისგან, მაშასადამე:

**ყუნ-ც-ულ-ი** < \*ყუნ-ც-ალ-ი < \*ყუნ-ც-ალ-ი, სადაც სუფიქსიანმა ხმოვნმა განიცადა დისტანციური პროგრესული ასიმილაცია: \*უ-ა > უ-უ.

რასაკვირველია, აქაც მიეკუთვნება ქართ. ც-ალ-ი < \*ცა-ალ-ი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ერთი“ (შდრ. ჯავახიშვილი 1937, 308-309).

სიტყვა „ორტყუ“ / „ორთხუ“, ი. ჯავახიშვილის თქმით, ნიშნავს „ოთხს“ და მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა: „ორჯერ ორი“ – 2 x 2 (ჯავახიშვილი 1937, 407).

სიტყვა ექვემდებარება სეგმენტაციას: **ორ-ტყუ / ორ-თხუ**.

პირველი ვარიანტი უნდა იყოს მიჩნეული ამოსავლად. ეს სავარაუდოდ მომდინარეობს ადრინდელი: \*ორი-ტყუ -ისგან. კომპოზიტის პირველი წევრის ბოლოკიდურმა ხმოვანმა განიცადა სინკოპე.

რაც შეეხება მეორე ვარიანტს **ორ-თხუ**, აქ თვალში საცემია სპირანტი -ხ- მეორე წევრში.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ: **ორ-თხუ** < \*ორ-თყუ < \*ორ-ტყუ.

ამ შემთხვევაში ბგერითი ცვლილება კომპოზიტის მეორე წევ-

რის თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში გამოწვეული დეზაბრუპტივიზაციით: \*ტყ- > \*თჯ- > თხ-.

თუმცა რეკონსტრუქციაში პოსტულირებული შუალედური საფეხური \*ორ-თჯუ არ არის შემოწმებული წყაროებში, ფონეტიკური პროცესი: ჯ > ხ ქართულში დასტურდება მრავალი მაგალითით, რაც შესაძლებელია მივიჩნიოთ სანდო საბუთად.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოყვანილი სიტყვა: ბორ-ტყუა „ოთხით სვლა“, აგრეთვე უკავშირდება ზემოთ შესწავლილ რიცხვით სახელებს, შდრ.: ბ-ორ-ტყუ-ა (2 x 2).

თავკიდური ბ- აქ გაქვევებული კლას-ნიშანია (ჯავახიშვილი 1937, 405-406).

### ლიტერატურა:

**აბაშია 2010:** რ. აბაშია, სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დაღესტნურ ენებში (ისტორიულ – შედარებითი ანალიზი), თბილისი [გამოუქვეყნებელი სადოქტორო დისერტაცია].

**არდოტელი 2009:** ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა, თბილისი.

**კლიმოვი, ხალილოვი 2003:** Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва.

**ჩიქობავა 1979:** ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1937:** ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი.

Radoslaw Kanarkowski

Studies in Common Ibero-Caucasian lexicon.

Structural and etymological remarks on Georgian stems:  
.tqubi/tqup̄i, cqvili, qunculi, ortqu/ortxu and bortqua

#### Summary

In the present paper etymology of several Georgian words which are supposedly based on the common root **-q<sup>w</sup>i** has been investigated.

Georg. **cqvili** = **c-qv-il-i** „pair“ seems to be lexicalized compound word, in which the first segment **c-** < \***ci-** < \***ki-** is akin to numeral „two“ in mountain Caucasian languages, ex. Avar. **ki-go**; Ub. **t-q<sup>w</sup>a**.

Georg. **tqubi** = **t-qu-b-i** „twin“ is of the same origin, but the consonant in anlaut underwent desaffrication: \***c-** > **t-**. The auslaut **-b-** has to be regarded as petrified class morpheme.

Georg. **qunculi** = **qu-n-c-ul-i** „haystack from three carriage“ is composed of two parts: **qu-** + **-cul-i**, **-n-** is secondary. The word can be etymologized: **qu-n-c-ul-i** < \***qu-c-ul-i** < \***qu-c-al-i**. The second segment **c-al-i** is akin to numeral one in Dagestanian languages, ex. Avar. **co**; Udi **sa** < \***ca**.

Georg. **ortqu/ortxu** and **bortqua** „to go in four persons“ can be divided as follows: **or-tqu/or-txu** and **b-or-tqu-a**.

# ნანა მაჭავარიანი

## მედგარის ეტიმოლოგიისათვის

სიტყვა **მედგარი** საბასთან განმარტებულია ასე: „**მედგარი** ქართულად ორად ითქმის: წერილისა ენით – მცონარსა და მსოფლიოთა – მზაკეარსა“... **ქეგლ**-ში განმარტებულია: „ძლიერი, შეუპოვარი... მედგარი ბრძოლა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია“.

კორნელი დანელია ამ სიტყვის შესახებ წერს:

„5. **მედგარი** ძველ ქართულში ზარმაცს ნიშნავდა (ზოგჯერ,-ცბიერსაც), მაგრამ „აბდულმესიანში“, ისე როგორც „გეფხისტყაოსანში“ უკვე უდრეკს, ძლიერს გამოხატავს (მედგრად იბრძოდის გამწყაზრებითა, 75, 2). **მედგარი** ეტიმოლოგიურად (**დგ** /**დგე** ძირისაგან ნაწარმოები მიმდებარა: 1) მედგარი ისაა, ვინც დგას უსაქმოდ, ზარმაცია; 2) მედგარი ისაა, ვინც მტკიცედ დგას, უკან არ იხევს ბრძოლაში, ვინც მამაცია. ძველ ქართულში უფრო პირველი მნიშვნელობაა რეალიზებული, საშუალოსა და ახალ ქართულში მეორე მნიშვნელობა განმტკიცდა (ეს მნიშვნელობა ძველ ქართულშიც არ გამოირიცხება)“ (დანელია, 1998, 436).

ილია აბულაძე ასე განმარტავს ამ სიტყვას:

„**მედგარი** (მედგარისა) ცუდი, ავი, ბოროტი, გამოუსადეგარი, საძაგელი, მშიშარა, ზარმაცი: „უკეთურო მონაო და მედგარო“ მთ. 25, 26; „ვა“ გულთა მედგართა და ელთა და სნილთა“ 0, ზირ. 2,14; „ნუ იზახებედ მედგარნი და უკეთურნი მ ნესა ამას ზელა“ თომა მოც. 19, 19; „გული მედგარი მუნქუესვე დაჰ სნდის“ მრთ. , ს. ვაბ. საკითხ. მოც. 101, 22; „მკდრობდა მ ედარი ვინმე მედგარი“ მ. ცხ. 157; „არცადა ელისე იყო მეგობართა მათ მისთა წინაშე მედგარ“ ბ. კეს.-ექუს. დღ. 123, 6; „მედგარმან მან აღიარა მტერისა მიერი იგი აღძრვა“ თ,სი“ ი.-ე. 46, 23; „დაუტევეს კეთილი იგი (ხილი) და მედგარსა მას ჭამდეს“ +ჰ – 12, 231 ვ. იხ. გულმედგარი, დამედგარება, მედგრება, მედგრობა, მომედგრება, სიმედგრე, უმედგრესი“.

„**მედგრობა** „ბოროტი“, უძღურება, სისუსტე: „ვჰყოფ მე მათ თანა მედგრობასა“ , - „ყოფით ვყო მათ თანა ბოროტი“ ; მსჯ. 15, 3; „ვიდრემდის ვიყვნეთ ამას მედგრობასა შინა და უდებებით ცხორებასა“ მ. სწ. 221, 3; „ვერ შეუძლის იგი მედგრობითა

მითა თ,სისა“თა“ გრ. ნოს.-კაც. გებ. 158, 20. ის. მედგარი“ (ილია აბულაძის ლექსიკონი).

ქართული ენის თუშურ დიალექტში **მედგარი** სფერულ ელვას ჰქვია (ეს ცნობა მოგვაწოდა გიორგი ცოცხანიძემ).

როგორც ვხედავთ, ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა იკვეთება თავ-თავისი დადებითი და უარყოფითი კონოტაციებით.

ენახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ მეგრულსა და სვანურში.

თავად ლექსება **მედგარი** ზანურში არ დასტურდება, მაგრამ დასტურდება საყრდენი ძირი ამ სიტყვისა.

ზან. **დგ-, დგ-უ (ნ)** „დგას“, ო-დგ-ინ-ან-ს „აყენებს, ადგენს“, დგ-უმ-ურ-ი „მდგმური“, და-დგ-ინ-ალ-ი „სადგური, დო-დგ-ინ-უ „დადგომა“, დო-ფ-ო-დგ-ინ-ი „გავაჩერე“, დგ-უნ „დგას“, დო-დგ-ინ-ა „გაჩერება, ცხოვრება, სახლობა (ი. ყიფშიძე) (ჩუხუა, 103)

ზანურში ლექსემის ძირის სემანტიკაა „უძრაობა“.

სვანურში **მედგარ** ნიშნავს „მოკვდავს“... (ფენრიხი, სარჯველაძე, 322).

**მედგ რი** – მომაკვდავი... მედგ რი შ ლემესგ ესერ დეგნი (ანდ.) „მომაკვდავის ცეცხლი ქრებაო“ (სვანური ლექსიკონი).

**მედგე** – ჩამქრალი... ანუ დამდგარი ცეცხლი... მედგე ლემესგს ლიკურცხ ლი დემესგ ხაშიდ (ბქ) „ჩამქრალ ცეცხლს შენუ-ჩხურება არ შველის“.

შდრ. ასევე სვან.: ან -გ-ან „ადგა“, ეს- -გ-ან „დადგა“, ად-გ-ან „მოკვდა“...

მ. ჩუხუა სვანურისათვის ადადგენს ზიგ-// ზგ-, ძირს „ესახლება ცხოვრობს“... (ჩუხუა, 103)

სვანურშიც ლექსემის ძირის მნიშვნელობაა „უძრაობა“.

სამსავე ქართველურ ენაში გვაქვს იდენტური ბგერათფარ-ღობა, სვანურში მნიშვნელობის გადაწვეით.

რა უნდა იყოს „**მედგარის**“ ამოსავალი? ის, რაც ორივე მნიშვნელობის სათავეში უნდა ყოფილიყო? ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის გასაღებს იძლევა სვანური. ამოსავალი ამ სიტყვისა უნდა ყოფილიყო უძრაობა ...**მედგე, მედგე** „ჩამქრალი“. მედგარი „მომაკვდავი“, ის, ვინც ვეღარ მოძრაობს, უძრავი.

ძველ ქართულში უფრო მეტად რეალიზებულია უძრაობასთან დაკავშირებული უარყოფითი კონოტაციის მქონე მნიშვნელობანი, რასაც სვანურიც ეხმიანება.

„**მედგარი**“ -ის -დგ- ძირი უძველესი საერთო ქართველურია, იგი აფხაზურშიც გვხვდება და იქ „მიწას“ აღნიშნავს, შდრ: ქართული **ადგილი**, აფხაზური **ადგ ლ**, აფხაზურში მოქმედი

ფონოტაქტიკური წესის თანახმად, რომელიც ქეთევან ლომთათიძის კანონის სახელითაა ცნობილი, თუ გამსესხებულ ენაში უკანაენისმიერ ბგერას მოსდევს **ი-** ან **ჟ-** ხმოვანი, მაშინ აფხაზურში ხდება ამ ბგერის პალატალიზაცია (ლომთათიძე, 170). აღნიშნული მაგალითიც გამოდგებოდა ამ კანონის საილუსტრაციოდ.

ქართული **ადგილი** აფხაზურში ადრეული ნასესხობა ჩანს, იმ დროისა, როდესაც იგი ქართულშიც „მიწას“ აღნიშნავდა.

**დეგ** ძირში გამოყოფს სწორედ ვ. თოფურია **დ-** კლასის ნიშანს, **თქუ** ზმნასთან ერთად. „...დეგ ძირი ნაწილდება დ-ე-გ. გ ძირია, ე- ვნებითის ნიშანი, დ- თავსართი... გ ძირს ფართო მოხმარება ჰქონია, აღნიშნავს ვარლამ თოფურია, იგი მოგვეპოვება მთელ რიგ სიტყვებში, როგორცაა: ჰგიეს, დგას, დგამს, აგებს, მიაგებს, დააგებს და სხვა მრავალი. მისი პირვანდელი მნიშვნელობაა „ადგილი“, „განი“ და ამ შინაარსით კიდევ არის იგი დაცული სვანურში: გი „ადგილი“; „სახლი“, გის „შინ“... (თოფურია 431, 432).

„ქართულში წინდებული და თანდებული წარმომდგარია გან-ისაგან, რომლის ადრინდელი მნიშვნელობა იყო „ადგილი“... გ გვევლინება ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში... ეგე, იგი, აგი...“ (თოფურია 432).

**გ** ძირს გამოყოფს მ. ბერიძე სიტყვაში „ალაგი“ (ბერიძე, 2005, 7).

**დეგ- > დ- > -გ-** ძირის ვარიაციებს საერთო ქართველური დონის კუთნილებად მიიჩნევს და აფხაზურ **აგ ლარა** „დგომასთან“ აკავშირებს იზა ჩანტლაძე (ჩანტლაძე, 2012, 139, 141).

დასკვნა ასეთი იქნება:

**მედგარი** არის უძველესი საერთო ქართველური „**დეგ**“ ძირის შემცველი სიტყვა, რომელშიც კლას-კატეგორიის ნიშანი დღემდეა შენარჩუნებული. მისი უპირველესი მნიშვნელობა **უძრავობის** გამოსატყა უნდა ყოფილიყო. **დეგ/ადგილი** თავდაპირველად მიწას აღნიშნავდა, აფხაზურშიც ამ მნიშვნელობითაა იგი შესული. მედგარის თავდაპირველი, ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „მიწაზე მედგარი“. აქედან იღებს სათავეს მისი ორი, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობაც.

## ლიტერატურა:

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

**ბერიძე, 2005** – მ. ბერიძე, „ალაგის“ ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის კათედრის შრომები, ტ. 6, თბილისი, 2005.

**დანელია, 1998** – კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან 1, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998.

**თოფურია, 2002** – ვარლამ თოფურია, დ- თავსართიანი ზმნები ქართულში, შრომები, მე-2, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2002.

**ლომთათიძე, 1977** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, 1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1977.

**საბა, 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული 1, გამომცემლობა „მერანი“ თბილისი, 1991.

**სვანური ლექსიკონი, 2000** – სვანური ლექსიკონი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2000.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

**ქეგლ 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

**ჩანტლაძე, 2012** – ი. ჩანტლაძე, ძირის სემანტიკური ვარიაციები ქართველურ ენებში, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, 1, თბილისი-ბათუმი, ახალციხე, 2012.

**ჩუხუა, 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

Nana Machavariani

## Towards the etymology of *medgari*

### Summary

The paper deals with the two mutually opposed meanings of the word *medgari* 'laze', 'coward' 'brave', 'inflexible'.

The issue was raised: what might have caused the formation of these two mutual opposed meanings of the word.

The correspondence stems occur in Megrelian and Svan as well. Apkhazian data is represented, as well.

**Conclusion:** *medgari* is the word containing a Common Kartvelian *deg* root in which even a marker of a class category is singled out. Its primary meaning might have been 'motionlessness/immobility'. Initially, *deg* denoted 'land/soil'. It entered in Apkhazian with this meaning. An initial, literary meaning of *medgari* is 'standing on the land/soil'. Its two mutually opposed meanings have sourced just from this.



## ნანა სააკაძე

### ჰიპონიმიური მიმართულებანი სემანტიკური ჰელის ფარგლებში

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული მტკიცებულებების თანახმად ცნობილია, რომ დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური შედგენილობის დახვეწისა და განვითარება-გამდიდრების ძირითადი წყარო და საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი კომპონენტია. დიალექტური ლექსიკის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად, ამიტომ კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურის შესწავლა საშური საქმეა, რომელიც უნდა განხორციელდეს ადგილებზე, რეგიონული ექსპედიციების საშუალებით, ასევე ლიტერატურულ თხზულებებში აღბეჭდილი მასალის მიხედვით (სააკაძე 2004, 27).

ენათმეცნიერული თვალსაზრისით, სწორედ ის დიალექტური გარემოა შესასწავლი, რომელიც განსაზღვრავს სამეურნეო საქმეში ჩაბმულ პირთა მეტყველებას, მათ მიერ სათანადო სპეციფიკურ სიტყვა-გამოთქმების გამოყენებას და მათ ენობრივ თავისებურებებს, ვინაიდან დიალექტიზმები და დიალექტური თავისებურებანი საქმიანობის ვიწრო წრეს არ სცილდება, მათი საერთო ლექსიკურ ფონდში ჩართვა კი დროულად უნდა მოხდეს. ამდენად, გამოვლენილი და სათანადოდ შესწავლილი დიალექტური ლექსიკის აღნუსხვა გადაუდებელ საქმედ გვესახება.

ნაშრომში, სიტყვათა ექსტენსიონალზე დამყარებული ჰიპონიმიის პრინციპის გამოყენებით, პირველად არის თემატიკურად წარმოდგენილი ნაირგვარი სემანტიკური ელფერის შემცველი **ქვემოქართლური ლექსიკის დარგობრივი კლასიფიკაცია**.

ქვემოქართლური ლექსიკა ამ კუთხით ჯერ შესწავლილი არ ყოფილა და ამ ხარვეზის შევსება, ჩვენი აზრით, მეცნიერულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ.

დადგენილია, რომ სიტყვა ყველაზე ცვალებადი ერთეულია ენისა, ცვლილება ეხება სიტყვის როგორც გარეგან, ისე შინაგან, სე-

მანტიკურ მხარეს. ამიტომ, სიტყვის შესწავლა საინტერესოა როგორც ფორმათა საწარმოებელ სტრუქტურულ ელემენტთა შესწავლის, ისე სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სიტყვის მნიშვნელობას საგანთა მიმართება განსაზღვრავს და, ამდენად, ცნებისა და სიტყვის მნიშვნელობათა ურთიერთმიმართების საფუძვლების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის მნიშვნელობასაც და ხალხში შემუშავებულ ცნებასაც საგანი განსაზღვრავს.

რ. ჰალიგისა და ვ. ვარტბურგის მიერ შემუშავებული სიტყვათა თემატიკური დაჯგუფების პრინციპის შესაბამისად, ცნებები შეიძლება განლაგდეს სტრუქტურული მთლიანობის სახით, „ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ლოგიკის“ შესაბამისად, ისე, რომ გაადვილდეს ენის სტრუქტურაში გარკვევა (შდრ. ფოჩხუა 1974, 404).

შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკის უძველესი ფენის კვლევისას, როგორც წესი, დგინდება ის სემანტიკური ჯგუფები, რომლებშიც ასახულია საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ყოფითი საგნები და მოვლენები. სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა-დადგენას კი საფუძვლად უდევს სიტყვათა მნიშვნელობები მათი საგნობრივი მიმართების მიხედვით.

ჩვენ მიერ წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის მიზნების შესაბამისად, შევისწავლეთ სამეურნეო ყოფის ამსახველი ქვემოქართლური არეალური და დარგობრივი ლექსიკა. ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში გამოიკვეთა ამ დარგთან დაკავშირებული დიალექტურ ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებული ჰიპონიმიური მიმართებები, რაც სიტყვათა ექსტენსიონალს ემყარება.

კუთხური ლექსიკის დარგობრივად წარმოჩენის დროს ლექსიკური ერთეულები ბუდეების სახით გადანაწილდება, რის შედეგადაც მყარდება ჰიპონიმიური მიმართება: ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება კლასსა (იგივე სემანტიკურ ველსა) და მის წევრებს (ლექსიკურ ერთეულებს) შორის.

მაგალითად, შდრ.: ერთი მხრივ, **პური** (სემანტიკური ველი) და, მეორე მხრივ, ქვემოქართლურ დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებული ჰიპონიმიური ანუ სუბორდინაციული მიმართებანი: **ფურნის პური, შოთი, ლავაში, იუხა, ქერქერა, ზიშმა//ფათირი// შაფართხელა, ზიში, ლოლო პური...**

ან კიდევ: **ფქვილის** (ფქვილისაგან მომზადებული) **შეჭამადი** (სემანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი – კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვები: **ლუკლუკი//მუკლუკი, ფუმრუკი//ყაურმელა, შორმა, ძიფუა...**

საკუთრივ **შეჭამადი** > თურქ. *Şeşamaodu* > აზერბ. *şemaşamadi* „წვნიანი საჭმელი“. ამ ლექსემასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოვავლინოთ სიტყვათა ექსტენსიონალზე დამყარებული ჰიპონიმი. „შეჭამადი,“ როგორც კლასი, ქმნის სემანტიკურ ველს, ხოლო როგორც პროდუქტი და ნაკლები ექსტენსიონალის მქონე: „მაწვნის შეჭამადი“, „შინდის შეჭამადი“//„მახოხი,“ „მჟაუნის შეჭამადი“ – ჩართული აღმოჩნდება თხევადი საკვების აღმნიშვნელი მეტი ექსტენსიონალის მქონე სიტყვაში, ე. ი. კლასში – „შეჭამადი“.

შდრ. ასევე, დანაყილი ხორბლისაგან მომზადებული **ხორბლის შეჭამადი** – კლასი და მისი ჰიპონომიური მიმართებანი: **დოკორკოტა, წყალკორკოტა, ძიკორკოტა.**

აღსანიშნავია თიბვის ლექსიკაში დადასტურებული **ბულულა** (კლასი) და მისი ჰიპონომიური მიმართებანი: **ბულული//ბუნული, ძირი, თაია, ჯაურა, ხადურა, ხურგა, კვირტი, მოში, ხორომი. ძირი** მრგვალი ფორმისაა, **თაია** – მოგრძო ფორმისა. **ძირს** შეადგენს 4-5 **ჯაურა** (სოფ. პანტიანი), 40-50 **ბულული** (სოფ. წერაქვი, სიონი), ხოლო **ბულულს** – 30 **ხურგა**.

**თაია** ქვემოქართლურში „თივის მოგრძო ფორმის ზვინია“ (სოფ. ხატისოფელი, ავქოფაშვილი ზინას თქმით). ამ მნიშვნელობით იგი გვხვდება ქიზიყურშიც: „ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა“ (მენტეშაშვილი 1943, 75). ხევსურულში სხვა მნიშვნელობით ფიქსირდება, „ამოხვეულ ბაწარს“ უკავშირდება (დლონტი 1984, 242). საგულისხმოა, რომ **თაია** თურქულიდან ნასესხები ლექსემაა: *taya*

„თივის ზვინი“ (ჰაჯიევი, ნასიბოვი 1997, 101); ზვინის ერთ-ერთი სახეობაა **ჯაურა** „თივის ძაბრისებური დიდი ზვინი“ (სოფ. პანტიანი). აღნიშნული ლექსემა ამავე მნიშვნელობით დიდ გომარეთში მოვიძიეთ, 5 ბულული = 1 ჯაურას, ჯაურასაგან მრგვალი ფორმის **ძირი** იდგმება. **ძირი** პოლისემიური ერთეულია: სოფ. პანტიანში აღნიშნავს „თივის ზვინს“, დიდ გომარეთში (დმანისის რ-ნი) „მრგვალი ფორმის ზვინია“, სოფ. ხატისოფელში (ბოლნისის რ-ნი) „თივის ყველაზე დიდი ზვინი,“ დაბა წყნეთში მას **ხადურას** უწოდებენ.

პროფ. გ. ნებიერიძის აზრით, თუ ლექსიკას მოწესრიგებულ სიმრავლედ აღვიქვამთ, ეს მხოლოდ იმის შედეგი უნდა იყოს, რომ „სემანტიკურ ველებსა და მის წევრებს შორის სუბორდინაციური მიმართება გვაქვს“ (შდრ. გ. ნებიერიძე 1990, 225).

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, აგრეთვე, მიწათმოქმედების ლექსიკიდან: **მიწა** (კლასი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი: **პირალმა, ყალთადი, რუშანა, თირი, ხირხატი, ხრიოკი, დუნუსი...**

შდრ. ასევე შეშისა და ცეცხლის ლექსიკიდან: **ხე** -კლასი (სემანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი (წევრები, ერთეულები): **ბოწკინტი, ბოჯოჯდი, გამოკოკრილი, ჯიჯგი, ნაყვერი...**

**შემა** – სემანტიკური ველი (კლასი) და მისი ჰიპონიმიური მიმართებანი: **მორი, კუნძი, ჯირკი, ნაწვერალა, პლახი, ნათოსი.**

ამ მიმართებით დიალექტური ლექსიკის დარგობრივად შესწავლა გვამღევს საშუალებას, კუთხური მნიშვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ არა მხოლოდ ზოგად დონეზე, არამედ საკუთრივ წევრების დონეზე, სემანტიკური ველის, გამოწვლილვით, დამატებითი მნიშვნელობების გამოვლენით, რაც ჰიპონიმიურ მიმართებას, ნაკლები ექსტენსიონალის მქონე დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოვლენას გულისხმობს ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში.

## ლიტერატურა:

**მარტიროსოვი 1972** – არამ მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი, 1972.

**ნებიერიძე 1990** – გივი ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1990.

**სააკაძე 2004** – ნ. სააკაძე, სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქვემოქართლურში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2004.

**ფოჩხუა 1974** – ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.

**Nana Saakadze**

## Hyponymic Relations within the Semantic Field

### Summary

Nowadays it is actual to study the grammatical and the lexical structure of the Georgian dialects thoroughly.

It is the first time when the paper gives the comprehensive sectoral classification of the rich vocabulary of Lower Kartli using the hyponymic principle based on the word extensional.

When classifying the dialectal vocabulary and representing the lexical units according to the patterns there occurs the hyponymic relation; the word with a general meaning subordinates the words with specific meanings and in this way the subordinated relation takes place between the class and the members. For example, bread (a semantic field) and the hyponymic or subordinated relations attested in the sectoral vocabulary of Lower Kartli: Purnis Puri, Shoti, Iukha, Kerkeria, Komba, Bishma//Patiri//Shapartkhela, Lolo Puri ect.

## მეფა სალიანი

დროის სემანტიკურ ველში უმეფავალი ლექსიკონი ერთეულების ზოგადი მიმოხილვა სვანურში<sup>1</sup>

დრო, როგორც ცნობილია, მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც მოვლენების კანონზომიერი მონაცვლეობით გამოიხატება.

სამყაროში ყველა საზომი (*სიგრძე, წონა...*) პირობითია და ისინი მოფიქრებულია ადამიანის მიერ, დროის ძირითადი საზომი კი ბუნებამ თვითონ მოგვცა. კერძოდ, დროის აღრიცხვას საფუძვლად დაედო ციურ სხეულთა მოძრაობით განპირობებული ისეთი მოვლენები, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბარი პერიოდულობით მეორდება. ერთიანი, საყოველთაო დროითი ღერძის, დროთა დინების ერთ საფუძველზე და ერთი მიმართულებით სვლის წარმოდგენა კი ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული და მისგანვე მომდინარეობს.

დროულ მიმართებათა სტრუქტურების თვალსაზრისით ენები განსხვავებულ და საინტერესო სურათს წარმოგვიდგენენ. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური წარმოადგენს, რომლის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი მეტად საყურადღებო ტემპორალურ სტრუქტურას გვიჩვენებს.

ზოგადად დროის გამოსახატავად სვანურში დასტურდება როგორც ქართულიდან შემოსული – **დჷრეჷ** (ბზ.), **დრეჷ** (ზს.), **დრჷ** (ბზ., ლნტ.), **დრო** (ლშხ., ლნტ.), **დჷრე** (ლნტ.) „დრო“, **დჷრეა** (ჩოლ.); **ხან** (ზს., ლნტ.), **ხან** (ლშხ., უშგ.) „ხანი“; **ჟამ** (ზს., ლნტ.), **ჟამ** (ლშხ., ჩოლ.) „ჟამი“, ისე საკუთრივ სვანური – **ჟონა** (ზს., ქს.), **ჟანა** (ზს.), **დჷანა** (ბზ.), **ჟორა** (ლხმ.), **ონა** (უშგ.) „ჟამი, დრო“, **ჩიქედ** (ზს., ქს.) „დრომდე“, რომლებიც დასტურდება ძირითადად სხვადასხვა სახის ზმნიზედურ ფორმებში (**ისგლჷთი ჟონაქა** (ბზ., ლშხ.)

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სივრცე და დრო ქართველურ ენებში“ ფარგლებში (#13/20).

„შუადამისას“, **ისგლანდლიშ ჟონაქა** (ბქ.) „შუადლისას“; **ამ ჩიქედ** (ზს., ქს.) „ამ დრომდე“, ამ ჩიქს (ზს., ქს.) „ამ დროს“, ეჯ ჩიქქა (ბქ.) „იმ დროში, იმ დროს“, ეჩა ჩიქედ (ბქ.) „იმ დრომდე“, მიშგუა ჩიქედ (ბქ.) „ჩემამდე“ და მრავ. სხვ.), და რომელთაც სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით სხვადასხვა ფუნქცია და სემანტიკა გააჩნიათ.

საკუთრივ სვანური ჩიქ დასტურდება სხვადასხვა სახის ზმნიზედურ ფორმებში: **ამ ჩიქედ** (ზს., ქს.) „ამ დრომდე“, ამ ჩიქს (ზს., ქს.) „ამ დროს“, ეჯ ჩიქქა (ბქ.) „იმ დროში, იმ დროს“, ეჩა ჩიქედ (ბქ.) „იმ დრომდე“, მიშგუა ჩიქედ (ბქ.) „ჩემამდე“ და მრავ. სხვ.

რაც შეეხება დროის აღმნიშვნელ **ჟონა**-ს და მის ფონეტიკურ ვარიანტებს (**ჟანა/ღჟანა/ჟორა/ონა**), ისინი სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში გვხვდება როგორც არსებითი სახელის (ისგლეთიმ ჟანა ლი (ბქ.) „შუადამე“, ლირჟალე ჟონა ლი (ჩოლ.) „გათენების დროა“, ხოლა ჟონას ხაგნე (ჩოლ.) „შავ დღეს აყრის („ცუდ დროს ადგამს“))“, ხოლა ჟანაოღჟუ ჯარ! (ბქ.) „არ გაიხარე (ზედმიწ. – ცუდი დრომც გაქვს!“)!“...), ისე დროის ზმნისართების (**ისგლეთი ჟონაქა** (ბზ., ლშხ.) „შუადამისას“, **ისგლანდლიშ ჟონაქა** (ბქ.) „შუადლისას“...) ფუნქციით და, დროის აღმნიშვნელ სხვა ლექსიკურ ერთეულთა მსგავსად (შდრ.: ხან ი დრეჟუ (ბქ.) „დრო და ხანი“, ხან ი ჟამ (ლშხ.) „დრო და ჟამი“, **ჟამ ი დჟრემ** (ჩოლ.) „დრო და ჟამი“...), კომპოზიტთა მეორე შემადგენელ კომპონენტადაც წარმოგვიდგებიან (ხან ი ჟონა (ბქ.) „დრო და ხანი“, ხან ი ჟორა (ლშხ.) „დრო და ხანი“...).

ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ დროის მნიშვნელობით დაფიქსირდა ბორჯ (შდრ. ქართ. გურ., იმ.) ბორჯი „მორიგეობის დრო, – ჯერი, რიგი, ვადა“ (ქეგლ) და ბორჯალი „პაემნის ჟამი, პაემანი“ – საბა), რომელიც აშკარაა, რომ ქართულის გზითაა შემოსული. იგი სვანური ენის სხვა დიალექტ-კილოკავებში არ შეგვხვედრია. რაც შეეხება **ჟადა** (ზს., ქს.) „ვადა, დრო“ ლექსემას, ვფიქრობთ, შედარებით ახალი ნასესხებია.

დრეჟ/ხან/ჟამ/ჟანა/ჩიქ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ხშირად სინონიმებად გვევლინებიან (მაგ.: აჩად **ხან ი ჟამ** „გავიდა დრო და ჟამი“, **ხან ი დრეჟ** აჩად „დრო და ხანი გავიდა“, ამდრჟეს (||ამჩიქას) აღმერელი ჟი „ამ დროს მოდრუბლულა“...), აღნიშნავენ ზოგადად დროს, დროის დინებას კონკრეტული ტემპორალური ლოკალიზაციის გარეშე, ანუ ხდება დროის აღნიშვნა სხვა რაღაცასთან (*დროის წერტილთან ან მოქმედებასა თუ მოვლენასთან*) მიმართებაში. ამგვარი სიტყვების ქვეჯგუფს უწოდებენ (რეიხენბახი 1947:285-287) ე. წ. ტოკენ-რეფლექსური სიტყვების ქვეჯგუფს. ეს სიტყვები კი მიმართებაში არიან მეტყველების მომენტთან და მათი მნიშვნელობის აუცილებელ კომპონენტად ითვლება რეფლექსიურობა – ანუ მოლაპარაკესთან რეფერენტული მიმართება (აბულაძე 1986: 10). ჩვენ მიერ გამოყოფილი ქვეჯგუფი, როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, კორელაციაშია ზმნის ძირითად დროებთან: **აჩად** „წავიდა“, **ანჯად** „მოვიდა“, **ჰტყედღ** „წავიდა (ზედმიწ. – \*მიენასვლა)“ და სხვ.

დროის აღმნიშვნელი სიტყვების კლასიფიკაცია სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე ჯგუფად არის წარმოდგენილი:

1. **არამიმართებითი** დროის გამომხატველი სიტყვები, სადაც შედის ყველა სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ნებისმიერი სიგრძის დროის მონაკვეთს, განსაზღვრულსა თუ განუსაზღვრელს. ამავე ჯგუფს განეკუთვნება ე. წ. კალენდარული ტერმინოლოგია და ციკლური ხასიათის მქონე დროული მონაკვეთების აღმნიშვნელი სიტყვები;

2. **მიმართებითი** დროის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ დროულ მიმართებებს. ე. ი. სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების დროს სხვა დროსთან მიმართებით (აბულაძე 1988:154).

**არამიმართებითი** (ანუ ვითარებითი) დრო სვანურში გამოიხატება დროის აღმნიშვნელ სიტყვებზე რიცხვითი სახელების დართვით:



ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელების საშუალებით კონკრეტდება დროის ერთეულთა თვლადი რაოდენობა – **ემხუ ზა** (ბქ.) „ერთი წელი“, **ფორი თეჟ** (ბქ.) „ორი თვე“, **უსგუა ნაგზი** (ბქ.) „ექვსი კვირა“, **ერჟემდ ლადელ** (ბქ.) „ოცი დღე“...;

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელები დროის ამა თუ იმ მონაკვეთს ახასიათებენ მსგავს მოვლენათა რიგში მათი თანმიმდევრობის თვალსაზრისით – **მესმე ზა** (ბქ.) „მესამე წელი“, **მერმე თეჟ** (ბქ.) „მეორე თვე“, **მეუშთხჟე ნაგზა** (ბქ.) „მეოთხე კვირა“...;

გ) განუსაზღვრელი რაოდენობის რიცხვითი სახელები დროს ან დროის რომელიმე მონაკვეთს ახასიათებენ მისი ხანგრძლივობის მიხედვით – **ხჟაა დჟრჟე** (ბზ.) „ბევრი დრო“, **მასარდ დრეჟ** (ბზ.) „ბევრი დრო“, **მასარდ ხან** (ზს.) „ბევრი ხანი“, **ემხუ დრეჟ** (ბქ.) „იმდენი დრო“, **ფიშირ ზა** (ბქ.) „მრავალი წელი“, **ხჟაა|ხჟაა** (ლშხ., ჩოლშ.) **ზაა** „ბევრი, მრავალი წელი“...;

დ) ზედსართავი სახელები დროს ან დროის რომელიმე მონაკვეთს ახასიათებენ მისი ნიშან-თვისების მიხედვით – **ხოჩა დრეჟ** (ზს.), **ხოჩა დჟრჟე** (ჩოლ.) „კარგი დრო“, **ხოლა დრეჟ** (ზს.) „ცუდი დრო“, **ჯჟინელ დრეჟ** (ზს.) „ძველი დრო“, **საღხინ დრეჟ** (ბქ.) „სამხიარულო, ბედნიერი დრო“ და ა. შ.

ზემოთ საუბარი გვეკონდა ზოგადად დროის აღმნიშვნელი ისეთი ლექსიკური ერთეულების შესახებ, რომლებიც აღნიშნავენ ზოგადად დროს (**დრეჟ/ხან/ჟამ/ჟანა**), დროის დინებას კონკრეტული ტემპორალური ლოკალიზაციის გარეშე და ხშირად სინონიმებადაც გვევლინებიან, თუმცა როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, მათი ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობები საკმაოდ იზღუდება სხვა დროული სიტუაციებისა თუ მნიშვნელობების გამოხატვისას. კერძოდ, უფრო კონკრეტული დროის აღნიშვნისას განმსაზღვრელად გამოყენებულია დროის რომელიმე კონკრეტული მონაკვეთი (**დილა, შუადღე, საღამო...**) ან დროსთან დაკავშირებული რაიმე რეგულარული ხასიათის ქმედება (**საუზმობა, სადილობა, ვახშმობა, ჭამა, ლოცვა, დასვენება, მუშაობა, სვლა...**), საზღვრულად კი გვხვდება ძირითადად **დჟრჟე** (ბზ.), **დრეჟ|დროჟ**

(ზს.)<sup>1</sup>, **დრჷ** (ბზ., ლნტ.), **დრო** (ლშხ., ლნტ.), **დურე|დრჷ** (ლნტ.) „დრო“, **დურედ** (ჩოლ.) „დრო“: **ჰამაშ დრეჷ** (ბქ.), **ძინრა დრო** (ლშხ.) „დილის დრო“, **ისგლადლიმ დრეჷ** (ბქ.) „შუადღის დრო“, **ნებზჷა დრო** (ლშხ.) „სალამოს დრო“; **ლიდარალაშ დრეჷ** (ბქ.), „ჭამის დრო“, **ლიმზგრიმ დრეჷ** (ბქ.) „ლოცვის დრო“, **ლიმდაზიმ დრეჷ** (ბქ.) „მუშაობის დრო“, **ლიზალაშ დრეჷ** (ბქ.), **თათრყანიმ დრეჷ** (ბქ.) „თათრყანის დრო“, **ნიკალაშ დრეჷ** (ბქ.), „ნიკოლოზ მეფის მეფობის ხანა“, **ლისმინდალე დრო** (ლშხ.) „სიმინდის აღების დრო (ანუ სიმინდობის პერიოდი)“ და ა. შ., თუმცა სვანურში დიდი რაოდენობით დასტურდება ისეთი მასდარული ფორმები, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ ზოგადად რაღაცის დროს (მაგ.: **განჭჷობ** (ზს.) „ანწლის მწიფობის დრო, კარგი მოსავლიანობა (ზედმიწ. – ანწლ-ობ-ა)“, **ლიკდალ** (ბქ.) „აღების დრო (მოსავლისა, თოვლისა,...)“, ქა **ლიესგაშ** (ბზ.), „გატანის დრო“, ქა **ლიკდალ** (ბქ.) „გახდის დრო (ფეხსაცმლისა, შარვლისა,...)“, **დროზ** (ბზ.), **დროზ** (ბქ.) „პურობის, სადილობის დრო“, **გახჷობ** (ზს.) „დიდი ყინვების ან დიდი გვალვების დრო“, **ლიზაშ** (ბზ.) „წასვლის დრო“...)”<sup>2</sup> და ამდენად მათი დაკონკრეტება ანუ საზღვრულად დრო-ის დართვა აუცილებელი არ არის. მოცემული ორგანული წარმოების ფორმათა საკომპენსაციოდ კი ქართულად განმარტებისას საჭირო ხდება ე. წ. აღწერითი (პერიფრასტული) ფორმების გამოყენება.

<sup>1</sup> დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული **ჩიქ** თუ დადასტურდა საზღვრულად, იგი აუცილებლად რომელიმე ბრუნვის (სახელობითისა და წოდებითის გამოკლებით) ნიშნით ან თანდებულთა იქნება გაფორმებული (მაგ., **ნებზჷაშ ჩიქს** ჭეთხჷმალს ქორთე ლუმუნჷურინ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 243:24) „სალამოხანს საქონელი სახლში მოყავდა („სალამოს დროს **ოთხ-მა-ვალ-ს** სახლ’ის’კენ ნაგროვება“), **ნიკალაშ ჩიქქა** (ბქ.) „ნიკოლოზის დრონდელი (ზედმიწ. – **ნიკოლოზ-ის** დრო’ს’გა)“, **დენიკინიშ ჩიქქაშ** (ბქ.) „დენიკინის დროინდელი (ზედმიწ. – **დენიკინ-ის** დროგაის)“ და ა. შ.).

<sup>2</sup> ლაშხურში აღნიშნული ფორმები აღწერითად იწარმოება (ანუ არ გვაქვს **დროზ**, **ლიკდალ**... ფორმები).

საკუთრივ სვანური **ჟონა** (ზს., ქს.), **ჟანა** (ზს.), **ღჟანა** (ზზ.), **ჟორა** (ლზმ.), **ონა** (უშგ.) „ჟამი, დრო“ აკონკრეტებს დროის რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთს (*შუალამე, გამთენია...*): ისგლეთიმ **ჟანა** (ბქ.), ისგლეთი **ჟონა** (ლშხ.) „შუალამე (ზედმიწ. – შუადამის დრო)“, **ლირჟალე ჟონა** (ლშხ.), **ლირჟალე ჟონა** (ჩოლ.) „გათენება (ზედმიწ. – გათენების დრო)“ და ძალზე ხშირად გამოიყენება როგორც წყევლისა და დალოცვის (მაგ.: ხოლა **ჟანაოღჟ ჯარ!** (ბქ.) „არ გაიხარე (ზედმიწ. – ცუდი დრომც გაქვს!)!“ ხოჩა **ჟანაოღჟ აჯკედა** (ბქ.) „გაიხარე (ზედმიწ. – კარგი დრომც მოგსვლია!)!“...), ისე გაწყრომისა და დატუქსვის ფორმულებში (მაგ.: ხოლა **ჟონას ხაგნე** (ჩოლ.) „შავ დღეს აყრის („ცუდ დროს ადგამს“)“...), აღნიშნულ ფორმულებში ხან „ხანი“ და ჟამ „ჟამი“ ფორმების ჩანაცვლება შეუძლებელია. ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ქართულის გზით შემოსული ხან „ხანი“ შეიძლება ჩაენაცვლოს დრეჟ „დრო“ ფორმას (მაგ.: მასწრდ დრეჟ აჩად||მასწრდ ხან აჩად (ბქ.), ხჟაჟ დროჟ აჩად||ხჟაჟ ხან აჩად (ლშხ.) „დიდი დრო||ხანი გავიდა“...), თუმცა არა ყოველთვის, და პირიქითაც შეიძლება მოხდეს, დრეჟ „დრო“ გარკვეულ სიტუაციებში ვერ ჩაენაცვლება ხან „ხანი“ ფორმას (მაგ.: ხან აჩად (ბქ.) „დიდი დრო დაყო, დააგვიანდა („ხან-ი დაყო“)“, მაგრამ არა – დრეჟ აჩად (ბქ.) „დიდი დრო დაყო, დააგვიანდა“ ან დრეჟს ხოლლი (ბქ.), დროჟს ხოლლი (ლშხ.) „დროს უცდის“, მაგრამ არა – ხანს ხოლლი (ბქ.) „ხანს უცდის“ და ა. შ.).

ხან „ხანი“ გამოიყენება *დროის გასაზომდაც* – ალამჟ ხან (ზზ.) „ამდენი ხანი (ზედმიწ. – ეს ყველა ხან-ი)“, ამზუმ ხან (ზზ.) „ამდენი ხანი (ზედმიწ. – ამ-ზომა ხან-ი)“, ამიცალ ხან (ბქ.) „ამდენი ხანი (ზედმიწ. – ამ-ი<sup>1</sup>-ცალ-ი ხან-ი)“... დრეჟ „დრო“ კი *დროის რაგვარობის გასაზომად* – ამკალიბ **ღჟრეჟ/დრეჟ/დრჟჟ** (ზს.), ამკალი<sup>2</sup> **ღჟრე/დრჟე** (ლშტ.), ამკაჟ დროჟ (ლშხ.) „ამისთანა დრო“, ამგჟჟარ დრეჟ „ამისთანა დრო (ზედმიწ. – ამ-გვარ-ი დრო)“,

ამწმთან/ამწთან/ამთან **დჷრჷეჷ** (ბზ.), ამთან დრო (ლშხ.) „ამისთანა, ამნაირი დრო“ ...

რაც შეეხება ჟამ „ჟამი“ ლექსემას, მისი ცალკე ერთეულად გამოყენება ან ზმნიზედებში მონაწილეობა სვანურში არ დასტურდება. იგი ძირითადად კომპოზიტის შემადგენლობაში და ისიც დროის აღმნიშვნელ რომელიმე სხვა ლექსიკურ ერთეულთან ერთად გვხვდება: **ხან ი ჟამ** (ზს.) „ხანი და ჟამი“, **ხან ი ჟამ** (ლშხ.) „დრო და ჟამი“, **ჟამ ი დჷრჷე** (ჩოლ.) „დრო და ჟამი“.

**მიმართებითი დრო** სვანურში გამოხატულია სხვადასხვა სახის (ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი...) ნაცვალსახელებისა და დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებით:

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელები – **ამ** (ზს., ქს.) „ამ“ / **ეჟ** (ზს., ქს.) „იმ“ / **ალ** (ლშხ.) „ეს“ + დროის აღმნიშვნელი – **დჷრჷეჷ** (ბზ.), **დრჷეჷ|დრჷჷ** (ზს.), **დრჷ** (ბზ., ლნტ.), **დრო** (ლშხ., ლნტ.), **დჷრჷე|დრჷე** (ლნტ.), **დჷრჷე** (ჩოლ.) და **ჩიქ** (ზს., ქს.) მიჩნეულია დროის ზმნიზედებად და მათ დაესმით კითხვა „როდის, რა დროს, რა დრომდე“. ამ ზმნისართების (**ამ დჷრჷეჷს** (ბზ.) „ამ დროს“, **ამ დრჷჷეჷი** (ბზ.), **ამ დჷრჷეჷი** (ლნტ.) „ამ დროს, ამ დროზე“; **ამ ჩიქს** (ზს., ქს.), **ალჩიქს** (ლშხ.) „ამ დროს“, **ამ ჩიქდ** (ზს., ქს.) „ამ დრომდე“; **ეჟ დჷრჷეჷს** (ბზ.), **ეჟ დრჷეჷს** (ბქ.) „ამ დროს, იმ დროს“; **ეჟ ჩიქს** (ზს., ქს.), **ეჟ ჩიქქა** (ბქ.) „იმ დროს“; **ამკვლიბ ჩიქქა** (ბქ.) „ასეთ დროს“...) მეშვეობით გამოიხატება დრო, რომელშიც ადგილი აქვს/ქონდა/ექნება ნებისმიერ მოქმედებას:

**ამ დჷრჷეჷს** მანკჷნ ხეხჷმი ჯგმილდ მიშგჷა მუ **ჩჷადგჷარ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 18:5) „ამ დროს პირველი ცოლის ძმამ მამაჩემი მოკლა“; **ამ დრჷეჷს იხსკინა** იმხჷალეხენ თეთჷნა კჷიცრას (ბქ., სვან. ქრესტ., 215:19) „ამ დროს გადმომხტარა საიდანღაც თეთრი შუნი“; **ამ ჩიქქა** სანჷდჷარი **ანჯადხ** სოფელთჷსგა (ბზ., სვან. ქრესტ., 72:12) „ამ დროს ყაბარდო-ბალყარელებიც შემოვიდნენ სოფელში“; **ამ ჩიქს** ალ ჯგმილ-დაჩჷრა მჷდ **ანჯად** ჯარხენ (ლშხ., სვან. ქრესტ., 104:34) „ამ

დროს ამ და-ძმის მამაც მოვიდა ჯარიდან“ და სხვ.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვის ფუძეს დაერთვის სათანადო სახელი „დრო“ მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით ან რომელიმე თანდებულთ -ჟი „ზე“, -ქა „გა“, -ისგა/სგა „ში“ და ამგვარად ნაწარმოები დროის ზმნიზედებით გამოიხატება დრო, რომელშიც, როგორც ზემოთ ითქვა, ადგილი აქვს/ქონდა/ექნება ნებისმიერ მოქმედებას.

ბ) მიმართებითი დრო სვანურში, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების გარდა, კითხვითი ნაცვალსახელებითა და დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებითაც (+ რომელიმე ნაწილაკი) გადმოიცემა:

ათხე ლისდიკვლ ესერ მამ ჩიქჷშ ლი? (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 177:18) „ახლა უარის თქმა რა დროისააო?“, მამ ჩიქას გემ ხოჩამდ ხაღენა 'ამირმს', ხატყცუნახ ესერ შის დანჭარ ი ისგა ესერგდ ლუმკჷარნელიხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 320:6) „რა დროსაც საქმე კარგად ჰქონია ამირანს, იმ დროს დევები ხელს არტყამდნენ თურმე და ისევ შიგნით აგდებდნენ თურმე“ და ა. შ.

და ამ ზმნიზედური ფორმების საშუალებით ხდება მოქმედების დროის გარკვევა.

გ) კუთვნილებითი ნაცვალსახელებითა – მიშგჷა „ჩემი“ / ისგჷა „შენი“, ეჩა „იმ / იმის“ და დროის აღმნიშვნელი სიტყვებით შედგენილი დროის ზმნისართების (მიშგჷა ჩიქქა / მიშგჷა ჩიქს (ბქ.) „ჩემ დროს“, ისგჷა ჩიქქა / ისგჷა ჩიქს „შენ დროს“, ეჩა ჩიქქა / ეჩა ჩიქს „იმის დროს“, მიჩა ჩიქქა / მიჩა ჩიქს „მის დროს“) მეშვეობით გადმოიცემა დრო, რომელიც აკონკრეტებს მოქმედების დროს კონკრეტული პიროვნების პერიოდში.

დ) რაოდენობით რიცხვით სახელზე დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების – დრუჷ, ჩიქ დართვით ვიღებთ კომპო-

ზიტური შედგენილობის დროის ზმნისართს – აშხუ დრეუქა (ზს.), აშხუ ჩიქა (ზს.) „ერთ დროს“, რომელიც გადმოსცემს ისეთ დროს, რომელიც ოდესღაც, წარსულში ხდებოდა.

ე) რაოდენობით რიცხვით სახელზე დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის – ხან „ხანი“ დართვით ვიღებთ კომპოზიტური შედგენილობის დროის ზმნისართს – აშხუხანს (ბქ.), აშხუხანს (ლხმ.) „ერთ ხანს“, რომელიც დროის რაღაც გარკვეულ მონაკვეთზე მიუთითებს.

ვ) სვანურში ძალზე გავრცელებულია ისეთი დროის ზმნისართები, რომელთა პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ბიბლიური საკუთარი სახელები – ევა და ადამი: იჟა ჩიქს (ბქ.) „ოდესღაც, დიდი ხნის წინათ (ზედმიწ. – ევა-<sup>1</sup>ს<sup>1</sup> დროს)“, იჟაშ ი ადამიშ ჩიქა (ბქ.) „ოდესღაც (ზედმიწ. – ევა-<sup>1</sup>ს<sup>1</sup> და ადამ-ის დროს)“... და ისინი განუსაზღვრელ, ხანგრძლივ, უხსოვარ დროზე მიუთითებენ.

ბუნებრივია, მიმართებითი დროის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ დროულ მიმართებებს, ე. ი. სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების დროს სხვა დროსთან მიმართებით, ამით არ ამოიწურება სვანურში, თუმცა ამჯერად მათი დაწვრილებით განხილვისაგან თავს შევიკავებთ და დავასკვნით, რომ დროის სემანტიკურ ველში შემავალი სიტყვების კლასიფიკაციამ სვანურში, გარდა იმისა, რომ შესაძლებელი გახადა გამოგვეყო დროის გამომხატველი სიტყვების მნიშვნელობათა სემანტიკური კომპონენტები (ხანგრძლივობა, განსაზღვრულობა, რეფლექსიურობა...), ხელი შეუწყო, ასევე, დროის ზმნური კატეგორიისა და დროის სემანტიკური ველის ერთობლივ გააზრებას, რამაც საბოლოო ჯამში საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ენაში დროის გამოხატვის სრული სურათი.

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც, დროის უწყვეტ პერიოდში, გამოიყოფა სამწევროვანი ტემპორალური ოპოზიციის: ქა მეგრე „წარსული (ზედმიწ. – გასული)“ / ათხელდიშ<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> შდრ. ლხმ. დოსგა დრომ ოდრინდელი დრო (ანუ წარსული დრო)".

„წარსული (ზედმიწ. – ახლადის)“ – ათხემ<sup>1</sup> „ახლანდელი (ზედმიწ. – ახლის)“ – ათხენღჷემ „მომავალი (ზედმიწ. – ახლისმერეის)“ / მეკედ „მომავალი“. როგორც ვხედავთ, წარსულისა და მომავლისათვის მოგვეპოვება წყვილები, ახლანდელი დრო კი მხოლოდ ერთი ფორმით გვხვდება და სწორედ ეს დროა ამოსავალი წარსულისა (ათხელდიშ) და მომავლისათვის (ათხენღჷემ).

----- 0 ----- >

### ქა მეჩდე / ათხელდიშ ათხემ ათხენღჷემ / მეკედ

დროის ეს სამი ძირითადი პერიოდი (წარსული – ახლანდელი – მომავალი) სვანურში წარმოდგენილია დროის ზმნიზედებითა და მიმღეობის ფორმებით. მათ მიმართებაში (ათხე-ლდიშ – ათხე-შ – ათხენ-ღჷემ-შ), ძირითადად ამოსავალია ახლანდელი დრო – ათხე „ახლა“, რომელიც ბრუნვის ნიშნებისა და ზმნიზედების დართვით გამოხატავს ამა თუ იმ პერიოდს. რაც შეეხება მიმღეობურ ფორმებს (ქა მეჩდე – მეკედ), ისინი, ვფიქრობთ, ქართულის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი სვანურში.

გარდა ზემოაღნიშნული ფორმებისა, მომავლისა და წარსულის გამოსახატავად სვანურში სხვა ფორმებიც დასტურდება, რომელთა მეტი წილი სიტყვაწარმოებით არის მიღებული. ესენია: უცნობი ეტიმოლოგიის მახე (ბზ., ლშხ.), მახე (ბქ.), მახე (ლნტ.) „მომავალი/მომდევნო“, რომელსაც „დღეისსწორს“ სემანტიკაც გააჩნია და წარსულის და მომავლის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედური ფორმები: იჷალადანლ (ზს.), იჷალადედ (ბქ., ლშხ.), იჷალანდედ (ლნტ.); იჷას (ზს., ლნტ.), იჷასიდაშს (ბქ.), იჷასიდაშს (ლნტ.) „შორეულ წარსულში, ოდესღაც, ოდითგან (იგულისხმება ევას და ადამის დრო, შორეული წარსული)“, ათაჷამს (ლშხ.), ათაჷამს (ლნტ.), მითაჷამს (ჩოლ.) „ოდესღაც, უხსოვარ დროს“ ..., რომელთაც სხვა სემანტიკური დატვირთვაც გააჩნიათ, კერძოდ:

---

<sup>1</sup> შდრ. ლშხ. ათხე დრომ `ახლანდელი დრო`.

ა) დასახელებული ზმნიზედური ფორმების საშუალებითვე ხდება წარსულ დროში რაიმე მოქმედების უარყოფა:

იჭალადან ესერ მინე გჳწარიში ლიჰურდალჳ დჳს ხასმა (ზზ., სვან. ქრესტ., 66:5) „მისდღემში ჩვენი გვარის ადამიანის კუდიანობა არავის გაუგიაო („ევა-ს<sup>1</sup> დღე-ო მათი გვარ-ის-ი<sup>1</sup> კუდიანობა არავის სმ-ენ-ი-ა“), იჭალადედ ი დამალადედ ალი ესერ დჳს ხოჩჳმინა (ბქ.) „მისდღემში ეს არავის არ უქნიაო („ევა-ს<sup>1</sup>-დღე და დამა-ს<sup>1</sup>-დღე ესო არავის უქნია“), ხჳნ ახად ამეჳსგა 'ალის ი' მიჩა გუ ხაქტე: „**იჭალადედ ლჳრ ლდგჳრს დჳრ ხჳყწენჳ!**“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 111:31-32) – ამაში დიდი ხანი დაყო ამან („ამას“) და თავის თავს („გულ-ს“) უთხრა: „მისდღემში („ევა-ს<sup>1</sup> დღე“) ცოცხალი 'ადამიანი' მიცვალეჳლს არ მიწოლიაო!"; ამკალიბ **იჭალადედ** დჳსამა ხოწჳნხ (ლზხ., სვან. პროზ. ტექსტ., 133:20) „ამისთანა მისდღემში არაფერი ენახათ“...

ბ) აღნიშნული ზმნისართები უსაზღვრო ხანგრძლივობის (ანუ მარადისობის) სემანტიკასაც ითავსებენ და აქვთ მომავლის მნიშვნელობა:

მინე ჟახჳლ იჭალადან ირახ უკჳდაჳ (ზზ., ეკლინგ. მას.) „მათი სახელები მუდამ უკვდავი იქნება („მათი სახ-ელ-ებ-ი ევა-ს<sup>1</sup> დღე იქნებიან უკვდავი“), ალი იჭალადედ ამჟი ირი (ბქ.) „ეს მუდამ ასე იქნება“, ალი იჭალადღიმ მერდე ლი (ბქ.) „ეს უკვდავია, მარად იცოცხლებს“; იჭადამა ლჳდედ ესერ უმდნა ირი ალ ლადედ (ბქ.) „მუდამ, სამარადისოდ დაუვიწყარი იქნებაო ეს დღე („ევა-ადამ დღე-ო 'და'უვიწყარი იქნება ეს დღე“); იჭადამს ამჟი იკჩიხ ალ კოჯჳრ ი ლახჳრ (ბქ.) „მუდამ ასე იქნებიან აღმართული ეს კლდეები და მთები („ევა-ადამ-ს ასე აღიმართებიან ეს კლდეები და მთები“); მიმგჳტი ბებჳ ჟახე იჭალადედ უმტნა ორი (ლზხ.) „ბებაჩემის სახელი მუდამ უკვდავი იქნება“...



გ) ზოგიერთი მათგანი გამოიყენება დალოცვისა და სამად-  
ლობელ ფორმულებშიც (მარადიულობის, მომავალში დიდხანს  
ცხოვრების სურვილით):

...ყვრემ-შაჰხანდ ჰაშამ ხაჭეტიან ფარშმანგს: „მიჩ ესერ მე-  
ზელაღლდ მამა ხაყა, მარე ეჯღ'ესერ იჰასუ ვარი“ (ზზ., სვან. პროზ.  
ტექსტ., I, 193:31) „ყურუმ-შაჰხანმა მადლობა უთხრა ფარშევანგს:  
„მეო მოსიარულედ აღარ ვარგივარო, მაგრამ მაინც მადლობაო („მა-  
სო მოსიარულედ არა ვარგა, მაგრამ მაინცო ევა-ს'-მცა არის“)“, ბი-  
ცოლა ოლია, იჰასუ ხარი! (ზზ., ეკლინგ. მას.) „ბიცოლა ოლია, დი-  
დი მადლობა („ევა-ს'-მცა ხარ!“), იჰალადლიმ მერდოლჳ ხი! (ბქ.)  
„სამუდამოდ გეცოცხლოს („ევა-ს'-დღ-ის მყოფიმცა ხარ!“);  
იჰასოლჳ ხარი, გიგა, ი ამირ ზაჳ ამხენჳ ლეგჳანე ნაროლჳ ჯარ!  
(ბქ.) „დიდი მადლობა, დეიდა, და ას წელს აქეთ საგვლოვი არავინ  
გყავდეს („ევა-ს-მცა ხარ, დეიდა, და ას წელს აქეთკენქვე სატირალი  
ნუ-არ-მცა გაქვს!“)...

დ) დალოცვის ფორმულების გარდა, მათი ხმარება ხშირია  
წყევლის ფორმულებშიც (უარყოფით კონტექსტში და აქაც მომავალი  
იგულისხმება):

ყორჳ ლემეგჳინად მნდ ჯაყა ი ნრდ ჯაყანჳ იჰალადღ! (ზზ.,  
სვან. ქრესტ., 1978, 56:42) „კარში გასაშვებად არ ვარგიხარ და არც  
ვარგებულიყავი მისდღემში („კარში გასაშვებად არ ვარგიხარ და  
ნუ-მცა ვარგიხარმცა ევა-ს' დღე!“), ლეგრამალუ აჯხეპა ისგუ  
გჳრ-მ გუნჩჳენჩხ ი თემი წალ სგ'ანჳ ლაჯფუჳკჳენა იჰალადღიმდ!“  
(ზზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:38-39) „კვერცხივით გაგისკდეს შენი  
გულ-ღვიძლი და თვალის სითხე სამუდამოდ გაგიშრეს („კვერცხი-  
ვითმცა გაგხეთჳია შენი გულ-ი და გულ-ჩონჩხ-ი და თვალის სი-  
თხე შეგშრობამცა ევა-ს'-დღ-ის-თვის!“), იჰალადღე ქა ნომოლჳ  
ეჯფგრსაგა! (ბქ.) „არ გაგეხაროს მისდღემში („ევა-ს' დღე ნუ-არ-  
მცა გაგეხაროს!“) და ა. შ.

ე) ქართულიდან შემოსული ლექსიკური ერთეულების – **ათაჟამს**||**მითაჟამს** (ლშხ.), **ათაჟამს** (ლნტ.), **მითაჟამს** (ლნტ.), **მითაჟამს** (ჩოლ.) საშუალებით კი გადმოიცემა მარადიული (უხსოვარი, წარსული) დრო (შდრ. ქართ. **ათაჟამინდელი** „ძველისძველი, უძველესი“; ქართ. (ლექხ.) **მითაჟამი** „ძველთაძველი, უხსოვარი დრო“; მეგრ. **მითაჟამი** „ოდინდელი; ძალიან ძველი, შორეული წარსული“; **მითაჟამერი**||**მითაჟამიში** „ძველისძველი, ძალიან ძველი“):

... ლასკადგრანა პილჟი ანთხეხ ეზერ სკიმ, ხედჟანა **მითაჟამისკა** ლასკადგრას ხანახენა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 10:7) „მდინარე ლასკადურას ნაპირზე იპოვეს მჟავე წყალი, რომელიც უხსოვარი დროიდან (**„მითაჟამ-ში“**) ლასკადურას ქვეშ იყო მოქცეული“; ეჩანლო ალ სკიმ ლიცს ათონახა ი **მითაჟამისკა** ხალხს ჩჟატაშტენა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 10:20-21) „მერე ეს მჟავე წყალი წყალს დაუფარავს და დროთა განმავლობაში (**„მითაჟამ-ში“**) ხალხს დავიწყებია“...

ვ) ასევე საინტერესოდ გვესახება საკუთრივ სვანური დროის ზმნისართები – **კაცხენდირ**<sup>1</sup> (ზხ.), **კეცხანდგრან** (ლშხ.), **კაცხენდგრან** (ლნტ.) „ძველთაგანვე, ოდითვე, თავიდანვე, პირველადვე, თავდაპირველად (ზედმიწ. – წვერიდანვე)“; **ჯჟინანდნდირან** (ზხ.), **ჯჟინალენდირ** (ბქ.) „ძველთაგანვე, თავიდანვე“, რომელთა მეშვეობით გადმოიცემა დრო, რომელშიც ადგილი აქვს ისეთ მოქმედებას, რომელიც ოდესღაც, ქვეყნის დასაბამიდან (ან წარსულის რაღაც ეტაპიდან, დასაწყისიდან) ხდებოდა:

**კაცხენდირ** ჟანბრ ლგმარ ისგუჟე სოფელ (ზხ.) „თავიდანვე სახელოვანი ყოფილა თქვენი სოფელი“; ალი **კაცხენდირ** ამჟი ლგმარ (ბქ.) „ეს ძველთაგანვე, ოდითვე, თავიდანვე ასე ყოფილა“; ალ წეს ამჟი ლი შტანისა **კეცხანდგრან** (ლშხ.) „ეს წესი ასე არის სვანეთში ოდითგანვე“...

---

<sup>1</sup> შდრ. ზხ. **კაცხაშ**, ბქ. **კეცხაშ**, ლშხ. **კეცხაშ**, ლნტ. **კაცხეში** „პირველად“ დროის ზმნისართი.

თუმცა ამ მნიშვნელობით ბევრად უფრო ხშირია ბიბლიური საკუთარი სახელებით ნაწარმოები დროის ზნისართების – **იჟალგნ-დორ/იჟანდგრ/იჟანდირ/იჟანგნდგრან** (ბზ.), **იჟალგნდგრ/იჟალგნ-დირ/იჟანგნდირ** (ბქ.), **იჟანდგრან** (ლშხ.), **იჟალადელნემ** (ლშხ.), **იჟანდგრან** (ლნტ.) „უძველესი დროიდან, ძველთაგან („ევას-იდან“)“ გამოყენება:

**იჟალგნდორ** ჩიგარ ჟახნორ ისგჷმე სოფელ (ბზ.) „ოდიტგანვე („ყოველთვის“) სახელოვანი თქვენი სოფელი“; ჩდგინგსა მუშტან მნრა **იჟანდირ** ხაღჷნა ჟახე (ბზ., ეკლინგ. მას.) „სვან კაცს უძველესი დროიდან ყველგან ‘კარგი’ სახელი ჰქონია“; ალ მურყუმარ **იჟალგნდირ||იჟანდირ** ლგდახ შჷანს (ბქ.) „ეს კომპები უძველესი დროიდან იდგა ჩვენთან“; ალ წეს **იჟალადელნემ** ესრენ ხაღჷნახ (ლშხ., სვან. ქრესტ., 265:16) „ეს წესი უძველესი დროიდან ჰქონიათ თურმე“; ‘ალე’ **იჟანდგრან** ლგმარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 245:34) „ეს უძველესი|უხსოვარი დროიდან ყოფილა“...

**შენიშვნა:** ბოლო დროს ჩაწერილ სვანურ ტექსტებში ძალზე ხშირია ქართულიდან შემოსული ძირითადი პერიოდების (*წარსული – მომავალი*) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ხმარების შემთხვევები:

შომა, ერე სი ჩუ ჯიხა ისგუ შჷანემ **წარსულ** (ბზ., ეკლინგ. მას.) „როდემაც შენ იცი შენი სვანეთის წარსული“; მიშგჷი **წარსულ, მომაჟალ**, მაგ, ხჷანდ ეშ ლი, ხჷანდ – ამჟი (ბზ., ეკლინგ. მას.) „ჩემი წარსული, მომავალი, ყველაფერი, ზოგი ისეა, ზოგი – ასე“; ხოჩა **წარსულ** ხუჷანდახ გუშგჷმე წინაპრალს, ტჷილდამანრს (ჩოლ., ეკლინგ. მას.) „კარგი წარსული ჰქონდათ ჩვენ წინაპრებს, ტვილდიანებს, ძალიან კარგი წარსული“...

ახლანდელი დროისათვის კი ძირითადად საკუთრივ სვანური **ათხემ** გამოიყენება.

საუკუნე, როგორც ცნობილია, დროის ერთ-ერთი საზომი ერთეულია, რომელსაც იყენებენ დროის დიდ შუალედთა აღრიცხვისათვის (ანუ წელთაღრიცხვის ერთეულად) და შეიცავს ას წელს. სვანურში საუკუნის მნიშვნელობით დასტურდება ბიბლიური საკუთარი სახელისაგან – იჟა/იჟჷ „ევა“ ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები: იჟჷშჷა/იჟჷშიშ (ბქ.) „საუკუნის (ზედმიწ. – ევა-ს-ის)“, იჟჷ ჟოზჷშ (ბქ.) „საუკუნე (ზედმიწ. – ევა ვეება)“, იჟჷას უშდნა/იჟჷშიშჷ უშდნა (ბქ.) „სუკუნოდ დაუვიწყარი (ზედმიწ. – ევა-ს უვიწყი/ევა-ს-ით უვიწყი)“, იჟჷასუ ხარი! (ბზ., ლნტ.) „საუკუნედ, მარად იცოცხლე (ზედმიწ. – ევა-ს<sup>1</sup>-მცა ხარ!)“, რომელთა თარგმნა, ცხადია, კონტექსტზეა დამოკიდებული:

იჟჷა ოჟოზჷშ ლი (ბქ.) „დრო დიდია (ზედმიწ. – ევა ვეება არის)“; დჷრ ესერ ლი ლჷიდ იჟჷას მეგეჟ (ბქ.) „ვერავინ გაძლებსო მუდამ, საუკუნოდ (ზედმიწ. – არავინ არისო მთლად ევა-ს გამძლე)“; ალ გჷმე იჟჷას უშდნა/იჟჷშიშჷ უშდნა ირი (ბქ.) „ეს საქმე საუკუნოდ, მარად დაუვიწყარი იქნება“...

ზოგადად *წელი/წელიწადი*-ს მნიშვნელობით სვანურში გამოყენებულია ზჷა (ბზ.), ზჷ (ბქ., ლნტ.), ზაა (ლშხ., ჩოლ.), რომელსაც შესატყვისი ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (შდრ. ქართ. ზა- ზამთარი-ი; ზა-ფხული-ი; გა-ზა-ფხული-ი და მეგრ. ზო- ზო-თონჯ-ი“ „ზამთარი“) და საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილია \*ზა- არქეტიპი.

*წელიწადის დროები* სვანურშიც წარმოდგენილია ოთხი განსხვავებული პერიოდით – არეებით, თუმცა დიალექტების მიხედვით ერთნაირი მდგომარეობა არა გვაქვს და ესა თუ ის პერიოდი სხვადასხვა სტრუქტურის ფუძეებით წარმოგვიდგება: გაზაფხული – ქამიზჷლ (ბზ.), ქამლიზჷლ/ქამიზალ (ბქ.), ქამელიზალ (უშგ.); ლუფხჷ (ბზ., ქს., ლხმ.), კვცხალუფხჷ (ბზ.), მალფხ (ლნტ.), მალფხჷ (უშგ.); ზაფხული – ზაჟლადჷლ (ბზ.), ზაჟლადედ (ბქ., ლშხ.), ზაჟლადედ (ლნტ.), ამზაჟ (ბქ.), ზჷ (უშგ.); *შემოდგომა* – მუჟღერ

(ბზ., ჩოლ.), მუჟღურ/მუჟღური (ბქ.), მუჟღორ (ლშხ.), მუჟღორი (ლნტ.), მუჟღურ (ჩოლ.), სტუტელობ (ჩოლ.); ზამთარი – ლუნთ (ბქ., ლშხ.), ლინთუ (ზს., ლნტ., ჩოლ.).

ქართველურ ენათა დროის აღმნიშვნელ ერთეულებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი საერთოქართველური დონის მონაცემია (ლუ-ფხ-ჟ „გაზაფხული“, ლუ-ნ-თ/ლი-ნ-თჟ „ზამთარი (ზედმიწ. – სა-თოვ-ლ-ი-ე)“, მუ-ჟღუ-ერ/მუ-ჟღ-ურ/მუ-ჟღ-ურ/მუ-ჟღ-ორ/მუ-ჟღ-ორ/მუ-ჟღ-ირ/მუ-ჟღ-ურ „მემოდგომა (ზედმიწ. – ‘გა’მ-ძლოლი)“), ზოგიერთი ერთეული (ქამიზწლ (ბზ.), ქამლიზწლ/ქამიზალ (ბქ.), ქამლიზალ (ლშხ.), ქამელიზალ (უშგ.) „გაზაფხული“; ზაჟლადალ (ბზ.), ზაჟლადელ (ბქ., ლშხ.), ზაჟლადელ (ლნტ.), ამზაჟ (ბქ.) „ზაფხული“, ზა (უშგ.); მუჟღურ (ბზ., ჩოლ.), მუჟღურ/მუჟღური (ბქ.), მუჟღორ (ლშხ.), მუჟღორი (ლნტ.), მუჟღური (ჩოლ.) „მემოდგომა“) მხოლოდ სვანურისათვის არის დამახასიათებელი და სხვა ქართველურ ენათა მონაცემებისაგან სტრუქტურულადაც განსხვავდებიან და სემანტიკურადაც.

რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებაში დადასტურებულ სტუტელობ „მემოდგომა, მოსავლის აღების შემდგომი დრო“ ფორმას, იგი ქართულიდანაა შემოსული (შდრ. ქართ. სთუელი (საბა) „მემოდგომა, გინა ყურძნის მოკრეფა“, ფშ. სთველი „მემოდგომა“, მოხ. სთვლობა „რთვლობა, შემოდგომა“) ანლაუტისეული თს გამკვეთრებით.

**შენიშვნა:** წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები მიცემითი ბრუნვის ფორმით დროის ზმნისართების როლშიც გამოდიან.

ზოგადად წელიწადი-ს მნიშვნელობით გამოყენებული – ზა (ბზ.), ზა (ბქ., ლნტ.), ზა (ლშხ., ჩოლ.) ფუძე მხოლოდ დროის გამომხატველ რამდენიმე ფორმაში – ამზაჟ (ზს.) „წელს“, ზაჟლ (ბზ., ბქ., ქს., უშგ.) „მომავალ წელს“, ზაჟლიძქამომ (ბქ.), ზაჟლაქამემ (ლშხ.), ზაჟლიძქამემ (ჩბხ., ლხმ.) „გაისად“ დასტურდება, თუმცა ბალსქვემოურ დიალექტში „წელს“ სიტყვის აღსანიშ-

ნავად მისვს ფორმა გამოიყენება. აღნიშნული ფუძე „გაისის“ მნიშვნელობით შეგვხვდა ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ (2007:53), რაც თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს. იგივე ძირია გამოყენებული წარსული დროის გამომხატველ ფორმაში ქამისას<sup>1</sup> „შარშან“, როცა სვანური ენის სხვა დიალექტებში და, აგრეთვე, კილოკავებშიც, წარსული დროები სულ სხვა ფუძეებითაა წარმოდგენილი, კერძოდ: ლეჰნა (ზს.), ნეჰნა (ბქ.), ლენა/ნენა (ლშხ.), ლენა/ნენა (ლნტ.)<sup>2</sup>, ლენა/ნენა (ჩოლ.) „შარშან“, ლეჰნა სგობდიშ (ბზ.), ლეჰნა სგუბდიშ (ბქ.), ხონკუტი ლენა/ნენა (ლშხ.), ნეჰნასგებიშ (ჩხზ., ლხმ.) „შარშანწინ“; ლუნთჟრი (ბზ.) „შარშან“, ლუნთრესგობიშ (ბზ.) „შარშანწინ“; ხონკუტი ლენა/ნენა სგობდიშ (ლშხ.) „შარშანწინისწინ“...


დროის გარკვეული მონაკვეთის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა მეტი წილი აღწერიტადაა ნაწარმოები და ისინი, როგორც წესი, დროის ზმნიზედებადაა მიჩნეული.

**დროის გარკვეული მონაკვეთის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა სქემა:**

---

<sup>1</sup> უმგულური ქამისას ქართული გაისას/გაისად ფორმის ანალოგიით უნდა იყოს წარმოქმნილი.

<sup>2</sup> ვგიჟრობთ, „სვანურ ლექსიკონში“ აღნიშნულ ფორმებთან (ქართულ თარგმანში) შარშან-ის პარალელურად შარშანწინ ფორმის მითითება არამართებულია.



თვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული სვანურის ყველა დიალექტში ერთი საერთო ფუძით თჷე/თჷ (ზზ., ლნტ.), თეჷ (ზს.), თოჷ (ლშხ.), თჷჷჷ (ჩოლ.) გამოიხატება. უშგულურში კი თჷე-ს პარალელურად დოშდ „თვე, მთვარე“ ფუძეც ფიქსირდება. რაც შეეხება თვეთა სახელებს, ისინი სვანურში ძირითადად რომაული კალენდარული სისტემის მიმდევრობითა და სახელწოდებებითაა წარმოდგენილი, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი სისტემის პარალელურად შერეული სახის სისტემაც მოგვეპოვება, რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ სვანურ, ასევე ქართულიდან ნასესხებ ფორმებსაც.

### I. ტრადიციული რომაული კალენდარული სისტემა

	ზზ.	ზქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უშგ.
I	იანჷარ „იანვარი“	იანჷარ  იანჷარ	იანჷარ	იანჷარ	იანჷარ	იანჷარ
II	თებურჷჷლ „თებერვალი“	თე-ბერჷჷლ  თე-ბერჷჷლ	თებერჷჷლ	თე-ბერჷჷლ	თე-ბერჷჷლ	თე-ბერჷჷლ
III	მარტ „მარტი“	მარტ	მარტ	მარტ	მარტ	მარტ
IV	აპრილ „აპრილი“	აპრილ	აპრილ	აპრილ  აპრილ	აპრილ	აპრილ
V	მაის „მაისი“	მაის	მაის	მაის	მაის	მაის
VI	იჷნის „ივნისი“	იჷნის	იჷნის	იჷნის	იჷნის	იჷნის
VII	იჷლის „ივლისი“	იჷლის	იჷლის	იჷლის	იჷლის	იჷლის
VIII	აგუსტ  აგუსტ „აგვისტო“	აგუსტ  აგუსტ	აგუსტ  აგუსტ	აგუსტ	აგუსტ	აგუსტ
IX	სექტემბერ „სექტემბერი“	სექტემბერ  სექტემბერ	სექტემბერ	სექტემბერ	სექტემბერ	სექტემბერ
X	ოქტომბერ „ოქტომბერი“	ოქტომბერ	ოქტომბერ	ოქტომბერ	ოქტომბერ	ოქტომბერ



XI	ნოემბერ „ნოემბე- რი“	ნოემბერ	ნოემბერ	ნოემბე რ	ნოემბე რ	ნოემბერ
XII	დეკემბერ „დეკემბე- რი“	დეკემბერ  დ ეკაზრ	დეკემბერ	დეკემ ბერ	დეკემბ ერ	დეკემბერ

## II. შერეული სისტემა

	გზ.	ბე.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უშგ.
I	ქუჯხ <sup>1</sup> „იანვარი“	ქუჯხი	∅	ქუჯხი	∅	ქუჯხ
II	სტიმრჷშ „თებერვა- ლი“	∅	∅	∅	∅	∅
III	ლიღჷლ „მარტი“	∅	კეცხა ლუფხჷ <sup>2</sup> „მარტი“	∅	∅	∅
IV	∅	∅	∅	∅	∅	∅
V	ჟარდობ „მაისი“	ქ	ჟარდობ	ჟარდობ		ჟარდობ
VI	∅	∅	იჟანობა თოდ „ივ- ნისი („ივა- ნობ-ი <sup>1</sup> თვე““	∅	მიჷშ	იჟანობ „ივანობა“
VII	გჷირკ „ივ- ლისი“	გჷირკ	ლიგჷირკე „კვირიკო- ბა“	ლიგჷირკე   ლიგჷირ- კეჲ თჷე  ლიგ ჷირკეჲ „კვირიკო- ბა, კვირი- კობის თვე, კვი- რიკობისა“	ლიგჷირ კე„კვი- რიკობა“	გირიკ   ლიგჷირკე თჷე   ლიგჷირკე თჷეჲ „კვირი- კობა, კვირიკო- ბის თვე, კვირიკო- ბისა“

<sup>1</sup> შდრ. ქართ. (ქვ. იმერ.) ქვანთაზობა `რელიგიური დღეობა“.

<sup>2</sup> იგულისხმება გაზაფხულის დასაწყისი (ანუ მარტის თვე).

VIII	ლიმორიე თუე „აგვის- ტო („მარია- მობის თვე“)“	ლიმ- რიეშ თუე	∅	ლიმარიე თუე	ლიმრიე თუე	ლიმრიე თუე
IX	მგაახ „სეე- ტემბერი“ მენკანობ „ენკენობა“	მგაახ   ენკენობ	მეკე- ნობ/მეკენობ	მენ- კენ  მენკე- ნობ  ენკე- ნობა თუე  ენკე- ნი თუე „ენკენო- ბის თვე“	∅	მგაახ
X	წიფობა თუე „ოქ- ტომბერი („მწიფობის თვე“)“	წიფობ	წიფობა თუე „მწიფობის თვე“ ღვინობი/ა თოდ „ღვი- ნობის თვე“	წიფლობა თუე  წი- ფობ	∅	ღვინობა თუე  სა- სიშ   ლაღობ- რაშ
XI	საშობა  შაში შ <sup>1</sup> „ნომბე- რი („საში- შობა“)“	საშობა	ლიგერგი „გიორგო- ბა“	ლიგერგი თუე „გი- ორგობის თვე“	საშიშ თოდ „სა- შიშობის თვე“	ლიგერგი
XII	ქრისდეშ   იჭმ  ქრისდე თუე „დე- კემბერი“	ქრის- დეშ  ქრ ისდე თუე   იჭმ   ბაღლაშ	∅	ქრისტეში თუე	ქუიშობა თუე   ქუაბი <sup>2</sup>    ქრისტე- ში ჟიჭმ	ბარბლანშ    ქრის- ტეშობ

როგორც ვნახეთ, თვეთა სახელწოდებები სვანურში ძირითადად ტრადიციული რომაული კალენდარული სისტემის მიმდევრობითა და სახელწოდებებითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (კერძოდ: *პალატალური უმლაუტის, აუსლაუტში ხმოვნის მოკვეცის, ხმოვანთმონაცვლეობით, თანხმოვანთმონაცვლეობით, ბგერათა დაკარგვითა და ა. შ.*) გავლით.

<sup>1</sup> ამ ფორმით დასტურდება ასევე ლახამულურ კილოკავშიც.

<sup>2</sup> ქუაბი ჩოლურულის გარდა ყველა დიალექტში იანვრის სახელწოდებაა.

თვეთა აღმნიშვნელი ზოგი საკუთრივ სვანური ფუძის (მაგ., **ქჷწხი**, **მიაშ**, **მგაბ**) ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება.

*კვირა/კვირულის* სვანური სახელწოდებაა **ნაგზი** (ზს., ლშხ.), **ნაგზა** (ბქ.), **ნაგაზი** (ლნტ.), რომელიც შესაძლოა დავუკავშიროთ ძველ ქართულ მსგეფს-ს, ჩვენ ვარაუდს კი ამყარებს ჩოლურული **გზევს** (ლიპარტელიანი 1994:83), რომელიც სწორედ *კვირუ-ულს*, *თვის შვიდდღიან მონაკვეთს* გულისხმობს.

გარდა აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა, შვიდდღიანი კვირის აღსანიშნავად სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება **მიშჷ** (ზხ.), **მიშ** (ბქ., ლნტ.), **მიშ** (ლშხ., ჩოლ.), რომელიც, როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეული არ გამოიყენება, ის ყოველთვის სხვა სიტყვასთან კავშირში (მაგ.: **თამფჷ მიშჷ** (ზხ.) „აღდგომის კვირა“, **აღბჷ მიშჷ** (ზხ.) „აღების კვირა“, **ყჷელიერი მიშჷ** (ზხ.) „ყველიერის კვირა“, **ბაჲჷ მიშ** (ლშხ.) „ბზობის კვირა“, **ლილანჷნიე მიშ** (ლშხ.) „თესვის, დიდმარხვის შუა კვირა“; **ამმგამ** (ბქ.) „ამ დღეებში“, **ეჷ მგამ** (ბქ.) „იქითა კვირის დღეებში“ და სხვ.) დასტურდება.

შვიდდღიანი კვირის მონაკვეთის გამოსახატავად სვანურში გვხვდება სიტყვაწარმოებით მიღებული **ნაგზალადელ** „კვირა (ზედმიწ. – კვირადღე)“, ხოლო სრული, მთელი კვირის გამოსახატავად კი გამოიყენება ასევე სიტყვაწარმოებით მიღებული **ნაგზა ლეჷა-ლეჷა** (ზედმიწ. – კვირა ზემოთ-ქვემოთ, ანუ სრული კვირა).

კვირა, როგორც ცნობილია, შვიდი დღისაგან შედგება. დღის სვანური სახელწოდება კი საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე **ლაღაღ** (ზხ.), **ლადეღ** (ზს., ლშხ.), **ლადეღ** (ლნტ.) ფორმაა.

კვირის დღეები, გარდა შაბათისა (**საფტინ/სამტინ/საბტინ**)<sup>1</sup>, სვანურშიც შედგენილია საქართველოში გავრცელებული ბერძნული პლანეტალური სისტემის კალენდრის საფუძველზე.

---

<sup>1</sup> რომელიც როგორც ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი დღე (ზიბლიური ტრადიციით – „დღე განსუენებისა“) უცვლელად შევიდა ქრისტიანული აღმსარებლობის ყველა ხალხის ენაში.

**სვანურ მნათობ-ღვთაებათა შვიდეულის შემადგენლობა  
და სახელები**

ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უშგ.
ორშაბათი“	ღეშდიშ	ღოშდიშ	ღჷეშ- ტიშ	ღჷეშტიშ	ღომდიშ
სამშაბათი“	თანაშ	თახაშ	თანაშ	თახაშ	თანაშ
ოთხშაბათი“	ჭგმაშ	ჯიმაშ	ჭგმაშ	ჭგმაშ	ჯიმაშ
ხუთშაბათი“	ცაშ	ცაშ	ცაშ	ცაშ	ცაშ
პარასკევი“	ჷებიშ	ჷობიშ	ჷებიშ	ჷებიშ	ჷობიშ
შაბათი“	საფ- ტინ სამ- ტინ	საფტინ	საფტინ	საფტინ	საფტინ სა- ბტინ
კვირა“	მიშლადეღ	მიშლა- დეღ	მჷჷელა- დეღ	მიშლადეღ	მიჷლადეღ

კვირის დღეების აღმნიშვნელი სვანური სახელწოდებებიდან ზოგი საერთოქართველური დონის მონაცემია, ზოგი კი ნასესხები.

რაც შეეხება დღეთა თანმიმდევრობას, ისინი სვანურშიც დეიქტური პრინციპით არის აგებული და ძირითადად დროის გამო-  
მხატველი ზმნიზედებია. დიალექტების მიხედვით კი სხვადასხვა სტრუქტურის ფუძეები ვლინდება: ლაღი (ზს.) „დღეს“; მგნარ (ზს., ლნტ.) „ხვალ“; მგნარბაზი (ბზ.), მგნარბაზი (ბქ.) „ხვალსადამოს“; მგნარჩინან (ბზ.), მგნარჩინენ (ბქ.) „ზეგ“; ლათ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ლათ (ბქ., ლნტ.) „გუშინ“; ლათეჩინან (ბზ.), ლათეჩინენ (ბქ.) „გუშინწინ“; ლათ სგჷებნე ლადაღ (ბზ.), სგჷებლადეღ|სგჷებნე ლადეღ (ბქ.) „გუშინწინ“; ნაბოზ (ბზ.), ნებოზ (ბქ.) „სადამო“; ბაზი (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ამაღამ, ამ საღამოს“; ჰამ (ზს.) „დილა“; ძინარ (ბზ., ლნტ.) „დილა“ და სხვ.

დღე-ღამის, როგორც ერთი მთლიანობის, გამოსახატავად სვანურში გამოიყენება როგორც ლჷთილადეღ/ლჷთ-ლადეღ (ბზ., ლშხ.), ლეთილადეღ/ლეთ-ლადეღ (ბქ.), ლეთილადეღ (ლნტ.), ლჷთ-ლადეღ (უშგ.) „დღე და ღამე, დღე-ღამე“, ისე საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეული ფან, რომელსაც დროის მნიშვნელობაც ეკისრება (მაგ., ბქ. ფანაშ მეგეჭ მამაგჷეშ წჷა „დროის გამძლები არაფერია („დროის გამძლე არაფერი მოიპოვება“)“.

ლეთილადელ „დღე და ღამე“ ფორმაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, იკვეთება ორი ურთიერთდაპირისპირებული დროული კომპონენტი: ლეთ/ლეთ – ლაღლ/ლაღელ/ლადღელ, რომელთა გადანაწილება ხდება ნარჰი/ნარი – მუბჰირ/მუბირ/მუბურ „სინათლე-სიბნელე“ თვისებების მიხედვით. ლეთ/ლეთ – ლაღლ/ლაღელ/ლადღელ ფორმებს შორის კი გამოიყოფა გარდამავალი დროული მონაკვეთები – ლამიდან დღეზე (ლირჰჰლ (ბზ.), ლირჰჰლ (ბქ.) „გათენება“, მერჰე/მერჰილ (ბზ.), მერჰილ (ბქ.) „მნათობი, გამთენებელი, ცისკრის ვარსკვლავი (პლანეტა ვენერა)“, ლეჰგრჰჰ (ბზ.), ლეჰგრჰჰ (ბქ.), ბერღან (უმგ.) „განთიადი, რიჰრაჰი“, ლიბერღანალ (ბქ.) „გათენება“, ჰამ (ზს.), ძინარ (ბზ., ლნტ.), ძინარ (ლშხ.) „დილა“ ...) და დღიდან ღამეზე გადასვლის სხვადასხვა საფეხურები (ნაბოზ (ბზ.), ნებოზ (ბქ.) „სადამო“, ნაბზჰჰჰ პილ (ბზ.), ნებზჰჰჰ მერა (ბქ.) „სადამოს ჟამი (პირი)“, ლინბოზჰჰ (ბზ.) „მოსაღამოება“, ლიმტკუმჰლ (ბზ.) „შებინდების პერიოდი“, ლიბჰრჰჰლ (ბზ.) „შებინდება, დაღამება“, ლილეთე (ბზ., ლშხ.) „სრული დაღამება“, ლიწკუინტრე (ლშხ.) „დაბნელება, უკუნი ღამის დადგომა“, ლეთ (ბზ., ლშხ.), ლეთ (ბქ., ლნტ.) „ღამე“ ...).

დროის განსაზღვრული მონაკვეთების აღმნიშვნელი სიტყვები – საღათ (ზს.), საღათ (ზს.), სწთ (ბზ.), სწათ (ბქ.), სნთ (ლშხ., ჩოლ.), სათ (ლნტ.) „საათი“; წუთ (ზს., ქს.) „წუთი“; წამ (ზს., ლნტ.), წამ (ლშხ., ჩოლ.) „წამი“ სვანურში ძირითადად ქართულიდანაა შემოსული როგორც ფონეტიკურად უცვლელი, ისე ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმით. ერთადერთი გამონაკლისია რჰკ (ზს., ლნტ.), რჰკ (ლშხ.) „წამი, თვალის დახამხამება (დრო)“, რომელიც საკუთრივ სვანურ ფორმად მიგვაჩნია. მისი საერთოქართველურ დონეზე აღდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული ზმნისართთა ერთ-ერთ საწარმოებელ საშუალებადაც დასტურდება: წამნირჰკ<sup>ნ</sup>/წამნირჰკდ (ზს.) „ხშირად, თვალის დახამხამებაში (ზედმიწ. – წამდაუწუმ)“, ჩირჰკს (ზს.) „ხშირად, ყოველ წუთს“, აშხჰ რჰკს (ბქ.), აშჰ რჰკს (ლხმ.) „უცებ, წუთში (ზედმიწ. – ერთ წამს)“, აშხჰ რჰკილდისგა

(ბქ.) „უცებ, წუთში (ზედმიწ. – ერთ წამუკაში)“, **თერაკუხუ ხანს** (ჩბხ.) „თვალის დახამხამებაში, მყისვე“...

ზმნისართთა შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, სხვა დროის განსაზღვრული მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვებიც მონაწილეობენ: **ამხუწამ** (ზს.) „ამ წუთში (ზედმიწ. – ერთ წამ-ს<sup>1</sup>)“, **ამჟწჟამ** (ლხმ.) „ერთწამს“; **ამხუწამისგა** (ბქ.) „უცებ (ზედმიწ. – ერთ წამ-ს<sup>1</sup>-ში)“, **ამწამყი** „ახლავე, ამ წუთში (ზედმიწ. – ამ-წამ-ს<sup>1</sup>-ზე)“; **წამ-წუთ** (ზს.) „ხშირად, წამდაუწუმ (ზედმიწ. – წამ-წუთ-ი)“...

ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, დროის სივრცული წარმოდგენისას დროს გამოხატავენ გეომეტრიულად ჰორიზონტალური ღერძის სახით, რომელსაც აქვს მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივსაკენ რაღაც მოძრავი წერტილით, რომელიც აწმყოს გამოხატავს (ესპერსენი 1958:300). ლ. აბულაძის აზრით, დროის ამგვარი წარმოდგენა არც ქართულისათვის არის უცხო, რისი მაჩვენებელიცაა როგორც *წინ და უკან* ზმნისართების დროითი მნიშვნელობები, ასევე სიტყვები: *გუშინწინ, შარშანწინ*... (აბულაძე 1986:9), თუმცა ქართულ ენაზე მოლაპარაკეთათვის დამახასიათებელი ჩანს დროის ღერძის ვერტიკალური წარმოდგენაც (მაგ., ქართ. *ხვალზევით* – „ზეგ“, ჭან. *გე-ნ-დე-ან-ი* – „ზეგ“ („ზე-დე“) (ჩიქობავა 1942:17).

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანური ენის დიალექტებში?

ჩვენი დაკვირვებით, ზოგადად სვანურ ენაზე მეტყველი ადამიანის ცნობიერებისათვის დროის სივრცული წარმოდგენისას, ისევე როგორც ქართულში, არსებითია მისი სწორხაზოვანი (*ჰორიზონტალური*) წარმოდგენა, თუმცა სვანური დროის ამა თუ იმ მონაკვეთის სივრცული წარმოდგენისას თავისებურებასაც ავლენს.<sup>1</sup>

**ამრიგად:** სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა დროის სემანტიკურ ველში შემავალი ლექსიკა დაგვეყო ორ ძირითად ჯგუფად:

---

<sup>1</sup> საკითხზე მუშაობა გრძელდება.

I. დროის გრძლივობის ან ხანგრძლივობის გამომხატველ სიტყვათა ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფს მოიცავს:

ა) დროის განუსაზღვრელი მონაკვეთების აღმნიშვნელი სიტყვები (**დურეჟე** (ზზ.) „დრო“; **ხან** (ზს., ლნტ.) „ხანი“; **ჟამ** (ზს., ლნტ.) „ჟამი“, **ჟონა** (ზს., ქს.) „ჟამი, დრო“, **ჩიქდ** (ზს., ქს.) „დრომდე“, **ჟადა** (ზს., ქს.) „ვადა“);

ბ) უსაზღვრო ხანგრძლივობის (ანუ მარადისობის) გამომხატველი სიტყვები (**იჟალადან** (ზზ.), **იჟალადელ** (ზს., ქს.) „მარად“; **იჟას** (ზს.) „მუდამ“...);

გ) ციკლური დროის აღმნიშვნელი სიტყვები (*წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეების კალენდარული ტერმინოლოგია*);

დ) დროის განმსაზღვრელი მონაკვეთების აღმნიშვნელი სიტყვები (**საღათ** (ზს.), **სადათ** (ზს.), **სათ** (ზზ.), **სათ** (ბქ.), **სათ** (ლშზ.), **სათ** (ლნტ.) „საათი“...; **წუთ** (ზს., ქს.), **წამ** (ზს., ლნტ.), **წამ** (ლშზ., ჩოლ.) „წამი“...).

II. მეორე ჯგუფში შედის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ დროს სხვა რაღაცასთან (დროის წერტილთან ან მოქმედებასა თუ მოვლენასთან) მიმართებაში (**ათხე** (ზს., ქს.) „ახლა“; **ღათ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ღათ** (ბქ., ლნტ.) „გუშინ“; **ნაბოზ** (ზზ.), **ნებოზ** (ბქ., ლშზ., ლნტ.) „სადამო“...). ამავე ჯგუფში შემოდის ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ დროს არა მეტყველების მომენტთან, არამედ სხვა მოქმედებასთან ან დროსთან მიმართებაში (დოსდ||დოსგდ „ადრე“; გჟჟან „გვიან“; აშჟდ „ერთად, ერთდროულად“...) და აგრეთვე დროში განმეორებადობის გამომხატველი სიტყვები (**ჟიწყჟდ** (ბქ.) „ხშირად“; **ჩილადელ** „ყოველდღე, მუდამ“...).

## ლიტერატურა:

### ა) სამეცნიერო:

**აბულაძე 1986** – ლ. აბულაძე, დროის სემანტიკის ველის შესახებ, იკე, XXV, თბილისი, 1986.

**აბულაძე 1988** – ლ. აბულაძე, ჟამი, დრო, ხანი ძველ ქართულში, იკე, XXVII, თბილისი, 1988.

**რეიხენბახი 1947** – H. Reichenbach, The Elements of Symbolic Logic, New york, 1947.

### ბ) ლექსიკონები:

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ლიპარტელიანი 1994** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი, 1994.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

### გ) წყაროები:

**სვან. პოეზ. 1939** – სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1939** – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1967** – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV,



ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

## **Medea Saghliani**

### **The General Overview of the Lexical Units Included in the Semantic Field of Time in Svan**

#### Summary

The paper deals with the general overview of the lexical units included in the semantic field of time according to the dialects of Svan. Obviously, the lexical-semantic analysis of these units shows a very interesting temporal structure.

The observation of the Svan diverse dialectological material allowed us to part the vocabulary included in the semantic field of time into two main groups:

I. The group of words expressing the length of time which includes several sub-groups:

- a) The words denoting the indefinite periods of time;
- b) The words denoting unlimited duration (the eternity);
- c) The words denoting the cycles of time (the seasons, the months, the week day names);
- d) The words denoting the periods that determine time.

II. The second group includes the words that denote the relation of time towards something else (the point of time, the action or the event). This group also consists of the words denoting time not in the relation of the moment of speaking but in the relation of other action or time and also the words that denote the recurrence in time.

## **მედიკალინა**

### **ზრუნვის ლექსიკურ-სემანტიკური ბუნების საფორმალური ანალიზი**

ქართ. **ზრუნვის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუნებაში არსებული ლექსემები ქმნიან უაღრესად საგულისხმო სემანტიკურ პარადიგმას, რომელიც აღბეჭდავს დასაბამიერ, სეით-კაენიანიდან მოკიდებულ დაპირისპირებას: ერთ მხარეს არიან „კაცის შვილნი“, ანუ ამა სოფლის შვილნი (კაენიანები, კაენის ჩამომავლები), რომელნიც მარტო საწუთისოფლოზე ზრუნავენ, მეორე მხარეს კი დგანან ღვთის შვილები (სეითიანები, სეითის ჩამომავლები), რომელნიც სამეუფო გზას ირჩევენ და ღმერთს ეძიებენ.

#### **ზრუნვის ლექსიკურ-სემანტიკური ბუნება:**

ქართული **ზრუნვის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუნებაში შემოკრებილი ლექსიკური ერთეულები სამი სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

#### **I. მიმართულება:**

**„მზრუნველობა“** – როდესაც ძალისხმევა მიმართულია მოვლა-დახმარებისკენ (საკუთარი თავისა თუ სხვისათვის), შდრ. ძველი ქართული:

**ზრუნვა** „გარჯა, დვაწლი, რაიმე ღონისძიება“,

**ზრუნვის დება** „ზრუნვა“,

**მზრუნველობა** „კურატორობა, მეურვეობა“,

**მზრუნველი, მზრუნავი** „მომვლელი“,

**თანამზრუნველობა** „ზრუნვა, დახმარება“

**თანამზრუნველი** „ჭირისუფალი“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, დ. ჩუბინაშვილი),

**სამზრუნველო** „მონასტერი“ („სამზრუნველოს წერილთა შინა მონასტერსა უწოდენ. მონასტერი ღათინურია, ქართულად სამზრუნველო ჰქვიან მონაზონთ (მონოზანთ) საკრებულოსა“ – სულხან-საბა);

შდრ.: ქართ. **ზრუნვა** (< **ზრ-**) და სვან. ლი-ზარ-ე „ზრუნვა; დაცვა“ (ფენრიხი-სარჯველაძე).

## II. მიმართულება:

**„საზრუნავი“** – როდესაც ძალისხმევა იწვევს ურვა-წუხილსა და შფოთს. შდრ. ძველი ქართული:

**ზრუნვა, დაზრუნვა** „შფოთი, აღძვრა. ურვა, წუხილი“; საზრუნავი, სადარდო“;

**ზრუნვა** (მათე 6, 25) შიში დაცემისა, გინა ნავდვლად(სა), გინა ინადვლა“, **საზრუნავი** „სანადვლო საქმე“ (სულხან-საბა),

**შეზრუნ(ვ)ება** „შეწუხება, დაღონება, ურვა, შეშფოთება“;

**შეზრუნებულნი** „შეწუხებულნი“;

**მიმოდაზრუნვა** „ფუსფუსი“;

**მრავალმზრუნველი** „დაუდეგარი, მოფუსფუსე“

**მრავალმზრუნველობა** „დიდად ზრუნვა“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, დ. ჩუბინაშვილი);

შდრ.: სვან. ლი-ჟარ „მოწყენა, მობეზრება“ და ქართ. **ზარ-დაზარება**“ (გ. კლიმოვი). აქვე უნდა მოვიხმოთ ძველი ქართული **ზრზ-ოლ-ა** „ძრწოლა“, **ზრზ-ენ-ა** „გაღიზიანება, გაღაღება“, **ზრზ-ინ-ება** „წინააღმდეგობა, ურჩობა“, ქართ. **ურჯ-ოლ-ა** „ურჯოლა, ცახცახი“.

ამავე სემანტიკურ მიმართულებას განეკუთვნება უქონლობის **უ-ო** თავსართ-ბოლოსართიანი ძველი ქართული:

**უზრუნველი, უზრუნავი** „უზრუნველი, უნადვლო, უშფოთველი; თავის უფალი ზრუნვისაგან“;

**უზრუნველად** „უზრუნველად, უშფოთველად, უნადვლელად, უურველად“;

**უზრუნველობა** „უზრუნველობა, უურველობა, უდარდვლობა, სიმშვიდე; თავის უფალება ზრუნვისაგან, უნადვლობა, დაუდევენელობა, უთაურობა“;

**უზრუნველ-ყოფა, უზრუნველ-ქმნილი** „დამშვიდება, შეუწუხებლობა, დაწყენარება; უდარდელ-ყოფა; უნადვლო-ყოფა, უნადვლო-ქმნილი“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, დ. ჩუბინაშვილი).

## III. მიმართულება:

**„ხშიანობა“** – როდესაც ძალისხმევას შემაწუხებელი (ერთომის, შიშისა და ძრწოლის გამომწვევი) ხმის გამოცემა ახლავს. შდრ. ძველი ქართული:

**ზრუნნი** „გოდების ბანი“, „გოდება; გოდების ბანი მტირალ-

თავან“, „ზარის გოდების ბანი“ (სულხან-საბა, ივ. ჯავახიშვილი),

**ზრიალი** „საზარელი მრავალხმიანობა“ (სულხან-საბა);

შდრ.: ქართ. **ზრ**-იალ-ი და მეგრ. **რჟ**-იოლ-ი (<--**ჟრ**-იოლ-ი) „ხმიანობა“ (გ. კლიმოვი, ფენრიხი-სარჯველაძე). აქვე უნდა მოვიხმთ ძველი ქართული **ზრზ-ოლ-ა** „ძრწოლა“ და ქართ. **ჟრჟ-ოლ-ა** „ჟრჟოლა, ცახცახი“, ძველი ქართული **ზრზ-ენ-ა** „გადიზიანება, გაღაღება“, **ზრზ-ინ-ება** „წინააღმდეგობა, ურჩობა“, ქართ. **ზრზენ-/ზრზინ-** „შეშფოთება, აღზნება“ და მეგრ. **ზრზნ** „ხმაური, გუგუნა“.

ამავე სემანტიკური მიმართულებებისაა **ზარის** „სპარს. ელდა, ანაზდი, შიში, განკრომა; ტირილი, გოდება“ (დ. ჩუბინაშვილი) შემცველი ლექსიკური ერთეულები:

**ზარი** „საზარელისაგან შიში“, „შიში; შეძრწუნება“ (სულხან-საბა, ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე),

**საზარელი** „საძაგელი, საშინელი“; „ზარის დასაცემელი სასმენელი ესმას, ანუ საოცარი რამე იხილოს, შიშისა და წყენისა ზარმა ესრე შეიპყრას, დიდხანს შემშთფარივით იყოს“ (სულხან-საბა),

**ზარ-ვლომა** „ელდის ცემა“,

**ზარის-განვდა** „შეშინება, შეკრომა“,

**ზარ-განვლილი** „შეშინებული, შეძრწუნებული“,

**ზარის-დაცემა** „შეშინება“,

**ზარ-დაცემული** „შეშინებული“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, დ. ჩუბინაშვილი);

ასევე ფრაზეოლოგიზმები:

**შიშისზარი დაეცა, თავზარი დაეცა**; შდრ.: ქართ. **ზარ**-ი და მეგრ. **ზორ**-ი „საყვირის ხმა“; ქართ. **უ-ზარ-მა-ზარ**-ი და მეგრ. **ზორ**-ი „დიდი“ (ფენრიხი-სარჯველაძე), შდრ. ასევე **ზან-ზარ**-ი.

როგორც ვხედავთ, **ზრუნვის** წარმოდგენილ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში აშკარად იკვეთება დაპირისპირებული სემანტიკური პარადიგმა: ერთი მხრივ, **„მოვლა-პატრონობის მიზნით გაწეული სამზრუნველთ საქმე“** (I მიმართულება) და, მეორე მხრივ, **„შემაწუხებელი სამზრუნავი საქმე“** (II და III მიმართულებები). პირველის (სამზრუნველოს) ქართულში იტივრთავს **უნ-სუ-**

ფიქსიანი ხმოვანრედუცირებული **ზრ-**, შდრ.: ქართ. **ზრ-**, **ზრ-უნ** და სვან. **ზარ-**, **ლი-ზარ-ე** „ზრუნვა, დაცვა“ (ფენრიხი, სარჯველაძე). მეორე პარადიგმის (საზრუნავის) სემანტიკას იტვირთავს **ზრ-/ზარ-**, შდრ.: საერთოქართვ. \***ზრ-იალ** \***ზ1არ//ზ1რ0**: ქართ. **ზრ-იალ-** და სვან. **ლი-ჟარ** „მოწყენა, მობეზრება“ (გ. კლიმოვი).

3) საანალიზო სემანტიკურ პარადიგმებში არსებულ დაპირისპირებას ადასტურებს შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალა (წმიდა წერილიდან), წმიდა მამათა კომენტარითურთ, კერძოდ: გამოქნულია ამსოფლიური (ოღენ ხორციელი) და სულისათვის სარგო (საცხოვნებელი) საგანი **ზრუნვისა** თუ **საზრუნავისა**.

**ზრუნვის** საღვთისმეტყველო ასპექტები:

ა) **ზრუნვა**:

ძველ ქართულში სიტყვა **ზრუნვა** ნიშნავდა „სურვილს, გულის-სიტყვას; გაჭირვებას, შფოთს, ურვა-წუხილს“, ასევე „მიმოცაცებას“. ამ სემანტიკის შემცველი **ზრუნვა** წმიდა ბიბლიასა და საეკლესიო თხზულებებში, როგორც წესი, იმ გააზრებასა და მიმართულებას სძენს სათქმელს, რომელსაც უფალი იესო ქრისტე თავისი შეგონებითა თუ გაფრთხილებით გვაწვდის.

**ზრუნვის** საგულისხმო ლექსიკური ვარიანტია ძვ. ქართ. **მიმოდაზრუნვა** „ზრუნვა, შრომა, ფუსფუსი; გართობა“ (აბულაძე; სარჯველაძე). წმიდა ლუკა მახარებელი გვამცნობს, რომ მართა, ლაზარეს და, სტუმრების გასამასპინძლებლად **მიმოდაზრუნვიდა**, ანუ ფუსფუსებდა, თან შფოთავდა და წუხდა, რომ მარიამი, მისი და, არ ეხმარებოდა. ლაზარეს ოჯახში სტუმრად მიბრძანებული უფალი ამგვარი საზრუნავით მოცულ მართას იმას უწუნებს, რომ დიასახლისი „მრავლისა მსახურებისათვის“, ანუ ნაირნაირი კერძებით გამასპინძლებისათვის ირჯება. უფალი გარდამეტებული მასპინძლობით გართულ მართას ამიტომ ეუბნება: „მართა! მართა! **ზრუნავ** და **შფოთ ხარ მრავლისათვის**, აქ ერთისად არს საკმარ“ (ლუკა 10, 40-42). **ზრუნვის**, ვითარცა უფლისათვის შეუწყნარებელი ქმედების, ანუ **მიმოდაზრუნვის** გამოსახატავად აქ **ზრუნვას** ეწვეილება **შფოთი**.

ბ) **მრავალ-მზრუნველი**:

არის კიდევ ერთი ძველი ქართული სიტყვა – **მრავალ-**

**მზრუნველი**, რომელიც მართას მიმართ ასევე შეიძლება თქმულიყო. **მრავალ-მზრუნველი** ის არის, ვინც ერთი და ორი კი არა, ათასგვარი საზრუნავითაა პერობილი. **მრავალი საზრუნავი** ამსოფლიურთან, ოდენ ხორციელთან დაკავშირებული ფიქრით, სურვილითა და ურვა-წუხილით საზრდოობს, რაც, თავის მხრივ, ახალ-ახალ საფიქრალსა და სურვილსაც ადძრავს ხოლმე. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული შესიტყვება **გონებად მრავალმზრუნველი** – ასე იხსენიება ადამიანი, რომელიც ყოველივეს გამოა ზრუნვით მოცული და მთელ თავის ძალისხმევას მხოლოდ ამ საზრუნავისკენ წარმართავს. ძველი აღთქმის წიგნებიდან („ეკლესიასტე“, „სიბრძნე სოლომონისა“) არაერთგზის მოგვესმის გაფრთხილება საყოველთაო ამოუბის – ზღვარდაუღებელი **თვთმჯჯულობისა** გამო, როდესაც ჩვენ თვითონ – თვინიერ ღვთაებრივი შემწეობისა, ვცდილობთ ხოლმე საზრუნავის მოწესრიგებას, ზეციური სიბრძნის გარეშე გვეიმედება განზრახვისა და სურვილის აღსრულება და ჯიუტად გავიძახით, რომ ყოველივე ამას საკუთარი ძალებით მივაღწევთ.

„მთესვარის“ იგავში (მათე 13, 18-23) უფალი იესო ქრისტე ჩვენს ყურადღებას ამახვილებს საწუთისოფლო ზრუნვის (**ზრუნვად ამა სოფლისად**) კონკრეტულ საგანზე (**საცდური სიმდიდრისად**), რასაც ეკალთა შორის დათესილის ალეგორიით გვაწვდის და თავადვე განგვიმარტავს: „რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუად იგი ისმინის, და **ზრუნვამან ამის სოფლისამან** და **საცდურმან სიმდიდრისამან** შეაშთვის სიტყუად იგი და უნაყოფო იქმნის“ (მათე 13, 22).

იგავში „უგუნური მდიდარი“ (ლუკა 12, 16-20) უფალი იესო სწორედ გარდარეული სიმდიდრით გამოწვეული ზრუნვით შეპერობილ ადამიანს (მდიდარს) და მის საბრალბოებელ ხვედრს წარმოაჩენს. წმიდა ლუკას სახარებაში „უგუნური მდიდრის“ იგავის მომდევნო ნაწილში **ზრუნვის** თემა ორი მიმართულებით ვითარდება: ერთია ოდენ საკუთარ თავზე მინდობით ზრუნვა და მეორეა – ღმერთზე მინდობით გაწეული ზრუნვა.

უფალი გვარწმუნებს, რომ პირველ შემთხვევაში, ანუ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის იმედად, არათუ საზრუნავის მოწესრიგება, არამედ თვით უმცირესის ქმნაც კი შეუძლებელია ჩვენთვის, თუკი ღვთისკენ არ მივიქცევით. უფალი სწორედ ამას

ეკითხება თავის მოწაფეებს: „ვინ-მე უკუე თქვენგანი **ზრუნვიდეს** და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვისა წყრთა ერთ? უკუეთუ არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ, რადაცა **სხუასა მას ჰზრუნავთ?**“ (ლუკა 12, 25–26).

გ) **„ნუ ზრუნავთ“:**

„უბუნური მდიდრის“ იგავს მოდევნებულ შეგონებაში უფალი, ერთი შეხედვით, საკვირველ რჩევას გვაძლევს:

**„ნუ ჰზრუნავთ** სულისა თქუენისა, რად სჭამოთ, და ნურცა ჯორცთა თქუენტა, რად შეიმოსოთ“ (ლუკა 12, 22).

**ნუ ზრუნავთ** – უფალი კონკრეტულად გულისხმობს ყოველდღიურ საზრუნავს, იმ ზედმეტი, თვითრჯულობით გაჯერებული ზრუნვას, რომელიც ნიშანია ღვთისაგან განშორებისა, ღვთის სასუფევლის უარყოფისა: „ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რად გიკმთ ამათ ყოველთაგანი. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (ლუკა 12, 22. 29–31).

როგორც ვხედავთ, **ზრუნვას** – ამა სოფლის საზრუნავს, უფალი უპირისპირებს **ღვთის ძიებას**, სასუფეველის საღმრთო მოშურნეობას. ამ დაპირისპირებით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ღირსეულ არჩევანს, იმას, თუ რომელ საზრუნავს უნდა მივმართოთ, რათა „ყოველი შეგეძინოს“, ანუ ის სიკეთეც მოგვეცეს, რისთვისაც ყოველდღიურად ასე გულმოდგინედ ვირჯებით ხოლმე, და ისიც, რაც მხოლოდ საღმრთო მოშურნეობით მოიპოვება.

წმიდა დავით მეფსალმუნე თავისი დიდებული შეგონებით გვიდასტურებს ამ ღვთაებრივ გამოცდილებას: **„მიუტყვე უფალსა ზრუნვად შენი და მან გამოგზარდოს შენ“** (ფსალმუნნი 54, 22). ამ ფსალმუნისეულ შეგონებაში **ზრუნვით** სწორედ კაცის ყოველდღიური საზრუნავი იგულისხმება. წმიდა მეფსალმუნე გვირჩევს, უფალს მივენდოთ და მისი შემწეობის სასოებით მოვაგვაოროთ საზრუნავი, რამეთუ ჭეშმარიტად მხოლოდ ყოველადსახიერმა უწყის, „რად არს კეთილ“.

იგივე უფლისმიერი მოწოდება ასევე საგულისხმოდ მოგვესმის წმიდა მათეს სახარებიდან: **„ნუ ჰზრუნავთ** ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისსა. კმა არს ღღისად მის სიბოროტე თვის“ (მათე 6, 34–35).

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, უფალი ამ შეგონე-

ბით ყოველდღიურ, არსებობისათვის აუცილებელ საზრუნავს შეგვახსენებს, რაზეც ბრძანებული იყო დასაბამიერად: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“ (დაბადება 3, 17-19). ამ შეგონებაში ნახსენები **სიბოროტე თვისი** კი იგივე **ფრიადი**, ანუ მეტისმეტი, გადაჭარბებული **ზრუნვაა**, ყოველივე ამსოფლიურის ნდომით გაჯერებული და მხოლოდ სათავისოდ თავშესაქცევად გაწეული ჯაფა თუ ფუსფუსი. მაშასადამე, უფალი გვაწავლის, რომ პირველცოდვის შემდეგ ყოველდღიური საზრუნავი მძიმე ტვირთად გვაწევს, მაგრამ ამ ტვირთის ზიდვა არ უნდა ვაქციოთ „სიბოროტედ“, გარდარეული ზრუნვის საგნად, არამედ მორჩილებითა და გონივრულობით ვზიდოთ იგი, რადგან: „**კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი**“.

მართლაც, ღვთისათვის მოსაწონისა და ყოველივე ღირებული მდწევას ხომ დიდზე დიდი ძალისხმევა სჭირდება; და თუკი მართლაც გულით ვინდომებთ უფლისათვის მოსაწონს, როგორღა მოვიცლით ბოროტი, ამო ზრუნვისთვის?

**ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა** – სიტყვასიტყვით, ჩაკირკიტებით არ უნდა ვეძიოთ ამ უფლისმძიერი შეგონების ნამდვილი სათქმელი, – გვაფრთხილებს წმიდა იოანე ოქროპირი. **ხვალემან იზრუნოს** – რაღა თქმა უნდა, უფალი იმას კი არ ბრძანებს, რომ თვითონ, საკუთრივ დღე იზრუნებს თავის თავზე. ამ შეგონებით ყოველდღიური უფალი ყოველდღიურობის სიმძიმეს გვიმსუბუქებს: დღევანდელი ტვირთით ისედაც დამძიმებულინი, ხვალინდელი დღის ტვირთსაც თუ ავიკიდებთ, ამით ხომ რუტინად ვაქცევთ იმ საქმეს, რომელიც ჩვენს გასამართლებლად და საცხოვნებლად გვეძლევა ზეციურისგან. დღევანდელ საქმეს შეჭიდებულმა ხვალინდელისთვისაც რომ ვიზრუნო და დღევანდელი გასაკეთებელი გვერდზე დამრჩეს, ამით ხომ დღევანდელიც გაცუდდება და ხვალინდელსაც არა წაადგება რა. მოგეცა დღე? მაშ, იზრუნე ამ დღისთვის, ვინაიდან საკმარისია – **კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი**, ანუ ყოველ დღეს საკმარისი საზრუნავი მოეპოვება, და ჩვენ ამ საზრუნავის გონივრული გადანაწილება გვმართებს. ჩანს, სწორედ ეს სათქმელი აქვს სახარებისეული სიბრძნით ნასაზრდოებ ქართულ ანდაზას: „გადაღებული საქმე – ეშმაკისააო“!



**დ) თანა-მზრუნველი:**

სიტყვა **ზრუნვის** ლექსიკური ბუდიდან მოვიხმოთ კიდევ ერთ ძველქართულ სიტყვას – **თანა-მზრუნველი**. ამ სიტყვის მნიშვნელობის შემცველია დღევანდელი **მზრუნველი: თანა-მზრუნველია** ის, ვინც ზრუნავს, მომვლელია, ჭირისუფალია გვერდში მდგომი მოყვასისა ამავე ლექსიკურ ბუდეშია სიტყვა **შეზრუნვებაც**, რომელიც ნიშნავს „გამოძიებას“ (ანუ საზრუნავის მოსაგვარებელი გზების ძიებას).

**ე) საზრუნავი სულიერი და საზრუნავი ხორციელი:**

ასე რომ, ძვ. ქართ. **ზრუნვა** ორგვარი, ურთიერთსაპირისპირო სემანტიკით აღიჭურვება: თუკი, ერთი მხრივ, **ზრუნვა** არის სურვილით პყრობილება, გაჭირვება, ურვა-წუხილი, შფოთი, მეორე მხრივ – იგივე **ზრუნვა** მოვლა-პატრონობაა, ჭირისუფლობაა, გარჯა და ღვაწლია, ასევე, უწინარესად კი უზენაესი, ზეციური სიბრძნის მოძიებად და შესაცნობად, როგორც ამას სოლომონ ბრძენი შეგვაგონებს: „სწავლულობისა ზრუნვაჲ – სიყუარული არს“ (6, 16). **ზრუნვა** მაშინ არის ღვთიემოსაწონი, როდესაც ზრუნვის საგანი სულიერებაა. ამასთან, **სულიერი საზრუნავი** კეთილი ნაყოფის მომტანია მზრუნველისთვისაც და იმისთვისაც, ვისთვისაც ზრუნავენ.

ამის საპირისპიროდ, ოდენ **ხორციელი საზრუნავი** არაკეთილია, ამას გარჯაა, რადგან ხორციელებას გამოკიდებული ზრუნვით ჩვენ შფოთსა და მწუხარებას ვთესთ კიდევ და ვიმკით კიდევ.

## ლიტერატურა:

1. აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.
2. ახალი აღთქმამ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.
3. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, (ბულგარეთის არქიეპისკოპოსი), სახარება იოანესი, მოსკოვი, 2000 (რუსულ ენაზე).
4. იმნაიშვილი ივანე, ქართული ოთხთავის სიმფონიალექსიკონი, თბილისი, 1986.
5. წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი II, თბილისი, 1996.
6. წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თბილისი, I, II, 1993.
7. სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებათაგან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, I, 2000; II, 2006.
8. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, 1991.
9. სარჯველაძე ზურაბი, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ-ი), ერთტომეული, თბილისი, 1986.
11. დღონტი დოდო (მარიამი), ივანე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, I, თბილისი, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემობა „დედაენა“, 2009.
12. დღონტი დოდო (მარიამი), „არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი“ (რაისთვის ვჭამოთ და რაისთვის

ესვათ?), ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, რედაქციის მოძღვარი – იოანე ცურტაველი ეპისკოპოსი, 1 (16) –2009, ივნისი-აგვისტო, გვ. 41-49.

13. ჩუბინაშვილი დავითი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.
14. შინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
15. წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვ. 1, 1989; ნაკვ. 2, 1990, თბილისი, „მეცნიერება“.
16. Климов Г. А., Этимологический картвельских языков, М.ю 1964.
17. Толковая Библия, А.П.Лопухина, Петербург, 1 (1903-1907),3 (1911-1913).

## Medea Glonti

### Theological aspects of the Georgian Word Zrunva „Care (of, for)“

#### Summary

Everybody and everything teach something around us. The oldest Pagan and Christian levels of our ethnos and Georgians' characteristic national psychology and traditions are imprinted by the Georgian Language or by the Georgian word.

In the presented third letter is given analysis of the Old Georgian word **Zrunva** „Care (of, for)“, as the lexical-semantic unit expressing the content of the christian interdependence.

Such explanation of the given words are confirmed by the theological material.

## ეთერ შენგელია

მეგრ. **ირიათო** || **ირიართო** სიტყვათა  
წარმოშობისათვის

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეულები: **ირიათო** || **ირიართო** (ზმნზ.) „სულ, სულ მუდამ, განუწყვეტლივ, გამუდმებით“ – იმქვიდუ **ირიათო** ჩილამურით: მ. ხუბ., გვ. 5 – სულ ცრემლით იხრჩობა; მა **ირიათო** გიბირქ: ი. ყიფშ., გვ. 137 – მე სულ გიმღერებ; ამუდლა დო ამუსერი **ირიართო** თისგ კითხენდ: ი. ყიფშ., გვ. 24 – დღე და ღამე (გამუდმებით) იმას ჰკითხავდა; ორდოშახ **ირიართო** ქინგარდ: ქხს, II, გვ. 12 – დილამდე განუწყვეტლივ ტიროდა (ქაჯაია II, 2002).

მოცემული ერთეულები დასტურდება ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონშიც“ და განმარტებულია ამგვარად – „ყოველთვის, მარად, გამუდმებით, ერთთავად, სულ“ (ქობალია 2010).

საანალიზო ერთეულები აგებულების მიხედვით წარმოქმნილი სიტყვებია:

მეგრ. **ირიათო** ← || **ირიართო** შეიძლება დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად: მეგრ. **ირ**-**ი** – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ყოველი, ყველა, თითოეული“ (ქაჯაია II, 2002; ქობალია 2010), (სადაც **ირ**-ფუძეა, **-ი** – სახელობითი ბრუნვის ნიშანი), **ათ**- „ერთი“ რიცხვითი სახელი მიღებულია **რ**-ს დაკარგვით მეგრ. **ართ**-**ი** „ერთი“ ფორმისაგან, **-ო** ბოლოსართი მეგრულში ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ქართული ვითარებითი ბრუნვის **-ად** სუფიქსის ფარდი.

მამასადამე, **\*ირ-ი-ათ-ო** ← **\*ირ-ი-ართ-ო** „ყოველი ერთად“ ფონეტიკური ვარიანტებია. მათთვის ამოსავალია: **\*ირ-ი-ათ-ი** ← **\*ირ-ი-ართ-ი** „ყოველი ერთი“, რომელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან მიღებულია საანალიზო დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები **ირიათო** || **ირიართო**.

დასახელებულ ლექსემებთან ერთად განვიხილავთ: მეგრ. **ირიართოიანი** „საყოველდროო, სამარადისო, მარადიული, გამუდმებული“, **ირართონი** „მარადისი“, **ირიათონი** „მარადისობა“ (ქობალია 2010) ლექსემებს.

მეგრ. **ირიართოიანი** „საყოველდროს, სამარადისო, მარადიული, გამუდმებული“ ზმნიზედური წარმომავლობისაა. ის მომდინარეობს **ირიართო**–საგან. იწარმოება მისგან ქონების აღმნიშვნელი მეგრული –**იან** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ფარდია იმავე ჯგუფის ქართული –**იან** აფიქსისა (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015, 127). ამგვარად, \***ირ–ი–ართ–ო–იან–ი** ფორმის აღდგენილი სემანტიკა შეიძლება იყოს – \*ყოველი ერთის მქონე“.

საყურადღებოა განხილული **ირიართოიანი**–საგან ფონეტიკურად სახეცვლილი მეგრ. **ირართონი** „მარადისი“ ფორმა, რომელშიც **ირ–ი** „ყოველი“ ნაცვალსახელის –**ი** ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, ხოლო –**იან** ქონების მაწარმოებელი სუფიქსი გამარტივებულია და წარმოდგენილია –**ნ**–ს სახით. შესაბამისად, ეს სიტყვა შეიძლება დაიშალოს ასე: \***ირ–ართ–ო–ნ–ი** ← \***ირ–ართ–ო–იან–ი**.

ასევე **ირიართოიანი**–საგან ფონეტიკურად სახეცვლილია მეგრ. **ირიათონი** „მარადისობა“. ამ შემთხვევაში დაკარგულია **ართ**–ის „ერთი“ ფუძისეული **რ** თანხმოვანი (გვაქვს **ათ**–ის სახით), ხოლო –**იან** ქონების მაწარმოებელი სუფიქსი აქაც გამარტივებულია. ამრიგად, ის დაიშლება ამგვარად: \***ირ–ი–ათ–ო–ნ–ი** ← \***ირ–ი–ათ–ო–იან–ი**.

მაშასადამე, გაანალიზებული მეგრ. **ირიათო** || **ირიართო** „სულ, სულ მუდამ, განუწყვეტლივ, გამუდმებით, „ყოველთვის, ერთთავად“, **ირიართოიანი** „საყოველდროს, სამარადისო, მარადიული, გამუდმებული“, **ირართონი** „მარადისი“, **ირიათონი** „მარადისობა“ წარმოქნილი სახელებია, წარმოების მხრივ – განსხვავებული და საერთო ეტიმონიის მქონენი.

## ლიტერატურა:

1. ქაჯაია 2001: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი;
2. ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი;
3. ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა ლაზურ-მეგრული გრამატიკა I. მორფოლოგია, თბილისი;
4. ქობალაია 2010: ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

Eter Shengelia

## Towards Origin of Megrelian Words *iriato* || *iriato*

### Summary

In the article are discussed Megrelian words: **iriato** (\*ir-i-at-o) ← || **iriarto** (\*ir-i-art-o), „always, uninterruptedly“ (It comes from accusative form of \***iriarti** (ir-i-art-i) \*, „everyone“), **iriartoiani** (\*ir-i-art-o-ian-i) „eternal“ **irartoni** (\*ir-art-o-n-i ← ir-art-o-ian-i) („id“), **iriatoni** (\*ir-i-at-o-n-i ← ir-art-o-ian-i) „eternity“. It seems they are derived words, where can be separate: **ir-** – definite pronoun, **-i** – a mark of nominative case, **-o** – a mark of accusative case, **at-** || ← **art-** – curdinal numeral, property suffix **-ian** and its ponetic variety **-n-**.

They have comon roots, whose are their etimons.

## მედიკატივიზაცია

### საქართველოს ექსპერტიზის და რეკონსტრუქციის ცენტრი

არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში ერთეულის საპატიო და საპასუხისმგებლო მისია შეუძლია იტვირთოს ცნებამ, რომლის აღმნიშვნელ ტერმინადაც იქცა ყოველდღიური მეტყველებიდან აღებული სიტყვა „როლი“ [1]. ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე უკომპრომისო ძიების შედეგად, შედეგების დაგვირგად დაწვრილებით გავეცანით სიტყვა „როლით“ აღნიშნული ცნების აზრობრივ მნიშვნელობას თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ფილოსოფიური კვლევის სამეცნიერო აპარატის კონტექსტში. თავიდან დავერწმუნდით და ყველა სერიოზული მკვლევარიც დავიმოწმეთ, რომ ეს ცნება შეუდარებლად მრავალფეროვანი, მრავლის მომცველი და, ამავდროულად, არაცალესახად ფორმულირებული – გასაოცრად პოპულარული და ნაყოფიერია. ბუნებრივია, ასეთი ვითარება საფუძვლიანი თეორიული კვლევის აუცილებლობას მოითხოვს.

ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვის სემანტიკური ფუნქციები უკავშირდება ენის წარმოშობისა და ევოლუციის პროცესში განვლილ გზას, ხოლო სამეცნიერო აპარატის კონტექსტში ტერმინის მრავალფეროვნების უკან დგას მკვლევართა მეთოდოლოგიური პოზიციების თავისებურებანი და ამ ტერმინით აღნიშნული ფენომენის არსის ამა თუ იმ სახით გაგება.

ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო ცნება მეცნიერებაში ყოველდღიური მეტყველებიდან შემოვიდა, მისი არსის ზუსტად წვდომისთვის გვერდს ვერ ავუვლით ზემოხსენებული მომენტის გათვალისწინებასაც. ამიტომ ამ წლების მანძილზე შეგროვილ მასალაში სიტყვა „როლის“ ყოველდღიური სემანტიკაც სრულყოფილად არის წარმოდგენილი. რამაც, კიდევ უფრო გაზარდა გასაანალიზებელი მასალის მოცულობა.

ამჯერად გვსურს მოკლედ, მაგრამ ამომწურავად მიმოვიხილოთ ამ სიტყვის წარმოშობა, ეტიმოლოგია და ენათა წარმოქმნისა და ევოლუციის პროცესში განვლილი გზის პირველი – ყოველდღიური ასპარეზი. მეორე – სამეცნიერო კი შესაძლებლო-

ბებიდან (იგულისხმება სტატიისა და სათქმელის მოცულობა) გამომდინარე -ზოგადად, მაგრამ ყოველისმომცველად. რისთვისაც დავეყრდნობით ხუთი ენის (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული ფრანგული,) სხვადასხვა სახის - ეტიმოლოგიური, უცხო სიტყვათა, ენობრივი, საგნობრივი დექსიკონებიდან თუ ენციკლოპედიებიდან და სახელმძღვანელოებიდან თუ სამეცნიერო ლიტერატურიდან თავმოყრილი ინფორმაციის მრავალწლიანი და სკრუპულიოზური ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

მიხნეულია, რომ „როლი“ მოდის ახალ (კლასიკურ) ლათინურში არსებული სიტყვიდან *rotula* - პატარა ბორბალი, რომელიც არის კინობითი ფორმა არსებითი სახელისა *rota* (*rotula*), რაც ნიშნავს ბორბალს, გორგოლაჭს, წრეს. თავის მხრივ, იგი დასაბამს იღებს ძველ (არქაულ) ლათინურში არსებული სიტყვიდან *rotulus* - გორგოლაჭი, ქობანი და *rota* - ბორბალი, რომელიც ენათესავება სანსკრიტულში არსებულ სიტყვას *rotha* - თვლიანი ეტლი (*колесница*).

ანტიკურ ხანაში ამ სიტყვიდან წარმოიშვა სიტყვა *roll*-ი, რაც აღნიშნავდა ხის ძელს, ბორბალს, რომელზეც ახვევენ პერგამენტს, რათა არ დაჭმუჭნულიყო. მოგვიანებით სიტყვა *roll*-ით დაიწყეს აღნიშვნა ყოველივე დახვეულის, დაგორგლილის, დაგრაგნილის. ასეთი გრაგნილები საბერძნეთსა და ძველ რომში განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა ოფიციალური ქაღალდებისთვის, რომლებიც გამოიყენებოდა უმეტესად სასამართლოსა და სახელმწიფოს მმართველობაში. გარდა ამისა, ასეთსავე გრაგნილებზე იწერებოდა თეატრალური პიესების ფრაგმენტები, რომელთაც სუფლიორები კარნახობდნენ შემსრულებლებს. ამიტომ გრაგნილსაც, რომელზეც ეწერა მსახიობის როლი შერჩა აღნიშნული დასახელება.

შუა საუკუნეებში სიტყვის ეს მნიშვნელობა დაიკარგა და ხელახლა გამოჩნდა XVI - VIII საუკუნეების საფრანგეთში, როცა *roll*-ი უკვე იქცა *role*-ად და აღინიშნა გრაგნილთა ის ნაწილები, რომელთა მიხედვითაც მსახიობები ახდენდნენ დეკლამირებას. მოგვიანებით კი დაერქვა „თავად იმასაც, რაც ეწერა ამ ნაწილებზე“.

მომდევნო საუკუნეში სიტყვამ *role* სწორედ ასეთი მნიშვნე-



ლობით ფრანგულიდან სხვა ევროპულ ენებში შეაღწია. შემდგომში მთელ მსოფლიოშიც გავრცელდა, ერთ-ერთ ყველაზე ინტერნაციონალურ სიტყვად იქცა და, ბოლოს, სამეცნიერო ენის ასეთივე „ინტერნაციონალური კუთვნილება“ გახდა.

სიტყვამ „**როლი**“, როგორც სამეცნიერო ტერმინმა თანამედროვე სოციალური თეორიების წინამორბედ კონცეფციებში იჩინა თავი. სოციოლოგიის ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ როლის ცნების შემოტანის პირველ მცდელობებს ადგილი ჰქონდა კონტან, სპენსერთან, მეინთან და მარქსთანაც. ცნება **როლის** და მასთან დაკავშირებული თეორიული კონცეფციების წინამორბედებად ითვლებიან ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ამერიკაში: სამნერი (1906წ.) – ნორმებისა და ჩვეულებების შესახებ, ჯეიმსი (1890წ.), ბოლდუინი (1897წ.), კული (1902წ.), – რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „მე“-ს თეორიის განვითარებაში, აგრეთვე ტომსი, ჰოლი, დიუი და სხვ., საფრანგეთში: დიურკჰაიმი (1893წ.) – შრომის განაწილების შესახებ, პიაჟე (1932წ.) – თავისი ადრინდელი ნამუშევრებით წესების და მათი შესაბამისი ქცევების შესახებ, აგრეთვე ბინე, ბლონდელი და სხვ., გერმანიაში: ზიმელი და სხვები, რომელთა მიერ განვითარებულმა იდეებმა ამა თუ იმ სახით პოვეს ასახვა **როლების თეორიაში**. აღნიშნავენ იმასაც, რომ რ. პარკი და ე. ბორჯერი უკვე 1921 წელს იყენებდნენ როლის ცნებას, თუმცა მისი განსაზღვრების გარეშე.

მეცნიერებაში ცნება **როლის** შეღწევის პირობით თარიღად მიჩნეულია XX საუკუნის 30-იანი წლები, როცა სოციოლოგმა ჯ. მიდმა (1934წ.) და ანთროპოლოგმა რ. ლინტონმა (1936წ.) ერთიმეორისგან დამოუკიდებლად გამოაქვეყნეს თავიანთი შრომები, რომლებშიც ცნება **როლი** პირველად იქნა გამოყენებული სოციალური მოვლენების გასაანალიზებლად. ამით დასაბამი დაედო არა მარტო ამ ტერმინით აღნიშნული ცნების სამეცნიერო ისტორიას და მასზე დაფუძნებულ თეორიულ კონცეფციებსა და მიმდინარეობებს, არამედ კამათსაც მის შესახებ.

შემდგომში რ. ლინტონის შეხედულებები დამკვიდრდა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმში ანუ მოძღვრებაში რეფერენტული ჯგუფის შესახებ, (ტ. პარსონსი, ა. რადკლიფ-ბრაუნი, რ. მერტონი და სხვ.), ხოლო ჯ. მიდის იდეებზე აიგო ე.წ. სიმბოლუ-

რი ინტერაქციონიზმის მიმდინარეობა სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში. მასში მიღებულია გამოიყოს ჩიკაგოს (გ. ბლუმერი, ა. სტროსი, ტ. შიბუტანი და სხვ.) და აიოვას (მ. კუნი, ტ. პარტლენდი და სხვ.) სკოლები და აგრეთვე ე.წ. სოციოდრამატული მიდგომა (ი. გოფმანი, კ. ბიორკი, ხ. დანკენი და სხვ.). **როლის** პრობლემა წამოჭრილი იყო და თავდაპირველად ვითარდებოდა სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის წიაღში. 50-იანი წლების ბოლოსთვის კი პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტთა (რ. კეტელი, გ. ოლპორტი, ა. დრედჯერი, მ. მერფი და სხვ.) ყურადღებაც მიიქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ცნება **როლი** ნაყოფიერი აღმოჩნდა არა მარტო თეორიული კონსტრუქციებისთვის, არამედ ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და ფსიქოთერაპიული მეთოდიკისთვისაც (რომლის დასაბამიც ი.ა. მორეზოსა და მისი მოწაფეების სახელებს უკავშირდება).

მიმდინარეობებს, რომელთაც აერთიანებს ჯ. მიდის სოციალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციიდან აღებული ცნებითი აპარატი და პრობლემატიკა, ხშირად როლების თეორიის (მ. დონი და რ. კრაუსი 1965, გ. ლინდსეი და ე. არონსონი 1968-69, თ.სარბინი და ე. ალენი 1959, და სხვ.) ანდა ინტერაქციონიზმის (ტ. შიბუტანი და სხვ.) სახელით ერთიან და დამოუკიდებელ ორიენტაციად განიხილავენ, ისეთი ძირითადი ორიენტაციების თანასწორად, როგორცაა გეშტალტფსიქოლოგია, ბიპევიორიზმი და ფროიდიზმი. ზოგიერთი ავტორი ამ მიმდინარეობას კოგნიტურ თეორიებს აკუთვნებს (ჯ. მაკ-დევეიდი და ჰ. ჰარარი), ზოგი კი თვლის, რომ მოცემული ორიენტაცია არის ე.წ. „გამჭოლი“ (transorientional), ე.ი. ისეთი, რომელიც არსებობს ყველა სხვა ორიენტაციაში მისი შესატყვისი პრობლემატიკის განხილვისას (შოუ და კონსტანცი 1970წ.). აღსანიშნავია ისიც, რომ ვიწრო მნიშვნელობით **როლების თეორიის** სახელით პიროვნების ფსიქოლოგიაშიც გამოიყოფა მიმდინარეობა, რომელსაც აკუთვნებენ ე.წ. პიროვნების ჰუმანიტურ თეორიებს, კ. როჯერსის, გ. ოლპორტის და ა. მასლოუს თეორიების გვერდით (ბ.ზ. ზეიგარნიკი 1988წ.). ბოლოს კი გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ **როლების თეორიას** განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას. „როლის“ ხაზგასმა ორიენტაციის, (თეორიის თუ დისციპლინის) დასახელებაში იმით არის განპირობებული, რომ ამ მიმდინარეობა-

ში მისი შესატყვისი ცნება ყველაზე მნიშვნელოვანია.

ასეთ ზოგადი მიმოხილვაც ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდია ცნება **როლით** დაინტერესება სამეცნიერო სარბიელზე და რა ფართო დიაპაზონით არის იგი გამოყენებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიზნებისთვის. რაც დრო გადის, ამ ცნებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება არა მარტო მის ბაზაზე აღმოცენებულ მიმდინარეობებში, არამედ მთელ რიგ სხვა თეორიულ კონსტრუქციებშიც (ნეობიჰევიორისტული – ტიბო და კელი, კოგნიტივისტური – ტ. ნიუკომბი და სხვ.). ამჟამად აშშ-ში ძნელია მოიძებნოს ისეთი მონოგრაფია სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში, სადაც განხილული არ არის ცნება **როლის** პრობლემატიკა. უფრო მეტიც, ცნება **როლი** ნაყოფიერი და შეუცვლელი აღმოჩნდა ფსიქიატრიის, პედაგოგიკისა და მთელი რიგი სხვა დისციპლინებისთვისაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების თეორიული თუ პრაქტიკული მხარით.

ყოველივე ზემოთ თქმული კი იმაზე მიუთითებს, რომ **როლების ენას** არ გააჩნია „კონცეფტუალური ჩარჩო“ (გ. ლინდსეისა და რ. არონსონის მიხედვით frame of reference), იგი ყველგან და ყოველთვის გამოდგება და გამოიყენება კიდევ რეალური ქცევის კომპლექსის გამოსაკვეთად. ამასთან, სულ უფრო მეტი მკვლევარი იზიარებს იმ აზრს, რომ იგი ამას გაცილებით უფრო უკეთ ახერხებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ანალოგიური ლექსიკონი. არსებული ვითარების ანალიზის გარდა, ასეთი შეფასება უდავოდ ითვალისწინებს იმ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს, ამ ენის შიგნით რომ ისახება და, ცნობიერად თუ არაცნობიერად, იჭერს ყველა, ვინც კი ცნება **როლის** მომავალს ბიჰევიორისტულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა თუ სულაც მეცნიერების არსებულ სფეროთა შეკავშირებაში ხედავს (ტ. ნიუკომბი და სხვ.).

მაგრამ ასეთი მაღალი შეფასება ეხება ცნება **როლის** და მასზე დაფუძნებული ენის მომავალს, რაც შეეხება აწყმოს, როგორც როლების თეორიისადმი მიძღვნილი კომპენდიუმის (კომპენდიუმის მთავარი დანიშნულებაა – მოკლედ გადმოსცეს ამა თუ იმ მეცნიერებისა თუ სასწავლო დისციპლინის ცნებები, თეორიები, მეთოდოლოგიები) რედაქტორები რ. ბიდელი და ნ. თომასი

აღნიშნავენ, „დღესდღეობით, როლების ენა არის ნაწილობრივ არტიკულირებული ლექსიკონი, რომელსაც თავისი სიზუსტით საშუალო ადგილი უკავია ქუჩიდან მოსული ადამიანის კონცეფციებსა და მომწიფებული სამეცნიერო დისციპლინის საკვებით არტიკულირებულ, საყოველთაოდ აღიარებულ კონცეფციებს შორის” [5]. მრავალი კრიტიკოსი კი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამჟამად არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებში ამ ენის ცენტრალური ტერმინი „როლი” ერთგვარი ბურუსით და გაურკვევლობით არის მოცული (ბორკოტა 1960, მეისონი და მაკინერი 1950, ნეიმანი და ხეგესი 1951, ნიუკომბი, ნეიმანი და ხიუზი, ბიდდელი და თომასი, ნეში და სხვ.). მაგალითად, ლ. ჯ. ნეიმანი და ჯ. ვ. ხიუზი წერენ: „როლის ცნება დღემდე უწინდებურად ბუნდოვანი და გაურკვეველია, იგი ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება განსაზღვრის მცდელობის გარეშე, ივარაუდება რა, რომ მწერალი და მკითხველი მიაღწევენ უშუალო შეთანხმებას” [8]. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა მართლაც ხერხდება და ყოველთვის და ყველგან, სადაც ეს ცნება გამოიყენება, ის არსობრივად იმდენად ზუსტად ჯდება კონტექსტში, რომ არავითარ ორაზროვნებას არ იწვევს.

სწორედ ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს ამ ცნების მრავალრიცხოვან და უკიდვანოდ მრავალფეროვან განსაზღვრებათაგან ყოველი ცალკეული ფორმულირება – თითქოს ყველა მათგანი სწორია და ყველა ესადაგება ცნება **როლის** იმ ინტუიციურად მოწყვლად არსს, რომლის მოსახელთებლადაც აღმოცენდა ეს ცნება საკაცობრიო კულტურის გარიჟრაჟზე და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მიიკვლევს გზას მისთვის კუთვნილი საპატიო პიედესტალისაკენ. ისეთი აზრი იქმნება, რომ ამ განსაზღვრებათაგან ყველა ეხება ცნება **როლის** ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, თუმცა არა საკმარისს, და მისი მრავალმხრივი შინაარსის სრულად წარმოჩენისთვის ყველა მათგანის გათვალისწინებაა საჭირო.

ამისთვის კი აუცილებელია ცნება **როლის** მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი განმარტებების დალაგება და კლასიფიკაცია. რაც თავის მხრივ საჭიროებს კლასიფიკაციის სწორ პრინციპს, რომელიც გადახედულ მასალაში ასევე არაერთგვაროვანია.

ამჯერად ვისაუბრებთ სიტყვა როლის ეტიმოლოგიურ-ისტორიული პრინციპის საფუძველზე გამოიყოფილი მნიშვნელობების ბუნებრივ ჯგუფებზე, ანუ ცნება **როლის** ე. წ. ეტიმოლოგიურ-წინაისტორიულ კლასიფიკაციაზე, რომელიც „ყველაზე დიდმა მსაჯულმა – დროშ“ შემოგვთავაზა. ამ პრინციპით სიტყვა როლის განმარტებები გადავანაწილეთ 6 ძირითად ჯგუფში, რომელთაგან თითოეულში ცნება როლის ამა თუ იმ ასპექტს ესმება ხაზი:

I. ე.წ. **ტექნიკური მნიშვნელობები**, რომლებიც ლათინური ძირებიდან მომდინარეობენ და განსაკუთრებით ფართოდ განივრცობიან გერმანულ ენაში, უკავშირდება ბორბლის, გორგოლაჭის (*rotula*) მნიშვნელობას და აღნიშნავს ყველაფერს, რასაც ცილინდრის ფორმა აქვს და თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს.

მათგან ცნებაში **როლი** გადმოდის დინების და თანაც რაღაც მყარის გარშემო ტრიალის სემანტიკური ასპექტი.

II. ე.წ. **რეესტრული მნიშვნელობები**, რომლებიც ასევე ანტიკური ხანიდან იღებენ სათავეს და განსაკუთრებით ფართოდ ფრანგულ ენაშია წარმოდგენილი, პაპირუსის მანუსკრიპტიდან დაწყებული, აღნიშნავს ყველა სახის პერგამენტისა და ქაღალდის რულონებსა თუ ფურცლების კრებულებს სხვადასხვა სახის ჩამონათვალით, იქნება ეს იურიდიული აქტი, საბეგარო რეკუელი, საქმეთა რეესტრი, პიროვნებათა სია თუ ნივთების ნუსხა.

მათგან ცნება **როლი** იღებს – ჩამონათვალის, აღწერილის, ფიქსირებულობის ასპექტს.

III. ე.წ. **ხელოვნების დიალექტისთვის ნიშანდობლივი მნიშვნელობები**, რომლებიც ასევე ანტიკური ხანიდან იღებენ სათავეს და ხელმეორედ ცოცხლდება შუა საუკუნეების ფრანგულში, შემდეგ მთელ მსოფლიოში ვრცელდება და, ბუნებრივია, ხუთივე განხილულ ენაში იმკვიდრებს ადგილს; მათით აღინიშნება: 1. ა) ნაწარმოების მონაკვეთი, ნაწილი, რომელიც სრულდება; ბ) ტექსტის ერთობლიობა, რომელიც სრულდება. 2. ა) პერსონაჟი (გმირი დ.ა.შ.), რომელსაც განასახიერებენ; ბ) ხასიათი, რომელსაც განასახიერებენ; 3. ა) მსახიობის ან მომქმედი პირისათვის მიკუთვნებული ტექსტი და ამ პერსონაჟის ხასიათის შესრულება პიესაში, ფილმში და ა.შ.; ბ) მსახიობის მიერ პიესის, ფილმის და ა.შ. იმ კუთვნილი ნაწილის შესრულება, რომელიც მაყურ-

ბელს გადასცემს ამ პირის ხასიათს, სიტყვებს და ქცევებს, რომელსაც იგი განასახიერებს.

ყველა ეს მნიშვნელობა უპირველესად ხაზს უსვამს იმ ასპექტს, რომ ხდება რაღაცის ჩვენება ვიღაცისათვის და – ვიღაცის მიერ მაყურებლის, ანუ გვერდიდან შემფასებლის თვალთ რაღაცის დანახვა, ანუ ის უმთავრესი, რაც იგულისხმება ყოველგვარ წარმოდგენაში. ამასთან იგულისხმება ისიც, რაც უნდა იქნეს წარმოდგენილი წინასწარი ჩანაფიქრით, და ისიც, რომ ეს განხორციელდება ინდივიდუალურად და კონკრეტული ვარიანტით

გარდა ამისა, ამ ჯგუფის მნიშვნელობებიდან ცნება **როლი** გარკვეულ შემთხვევებში გადმოდის ხელოვნურობის, სიყალბის, არარეალურობის ასპექტებიც.

IV. ე.წ. **ყოფითი მნიშვნელობების გამოყენების ტრადიცია**, რომლის სათავე ზუსტად არ არის დადგენილი. ამჟამად ყველა ენის ყოველდღიურ მეტყველებაში ამ ცნებას აიგივებენ ისეთ შინაარსებთან, როგორებიცაა: მნიშვნელობა, გაგლენა, ზემოქმედება, ზეწოლა, თამაში, ფუნქცია, პოზიცია, ხვედრითი წილი, ხმარება, გამოყენება, ვალდებულება, მანდატი, პროფესია, ხელობა, მისია, ამოცანა, სამუშაო, მოწოდება, დანიშნულება, მოვალეობა, კომპეტენცია, ხასიათი, ქცევა, ინდიკატორი და ა.შ.

V. ე.წ. **სამეცნიერო მნიშვნელობები**, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამერიკულ მეცნიერებაში აღმოცენდა, პირველად ინგლისურმა ენამ შეითვისა, შემდეგ კი განავრცო და გაავრცელა კიდევ, მოიცავს ყველაზე რთულ, მრავალფეროვან, არაცალსახა, ბევრის მოქმედ და ამიტომ ყველაზე მოსაწესრიგებელ-გასაანალიზებელ განმარტებებს. რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე თუა ორიგინალური და მწყობრი. უმეტესობა კი სხვადასხვა შინაარსების ეკლექტიკური შეკოწიწების შედეგია.

რაც შეეხება საკუთრივ შინაარსებს აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ უმეტესობა აზრობრივად უკავშირდება და ხშირად იგივეა კიდევ ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა: სტატუსი, პოზიცია, ფუნქცია, როლური მოლოდინი, ხატი, კოპიო, სტერეოტიპი, მოვალეობების ფიქსაცია, როლური მოთხოვნა, როლური ქცევა, ქცევის სოციალურ-ტიპური სისტემა, ქცევის შედეგი, პიროვნების სუბფუნქცია, ვარიაციული ცვლილებები, სოციალური მდგომარეობა, ნორმების ერთობლიობა, ღირებულებების ნაკრუ-

ბი, ინდივიდუალური ხორცშესხმა, მანერა, სტილი, პრესტიჟი, ჯილდო, უფლებამოსილება, ინდიკატორი, იდენტიფიკაციის საფუძველი, სახელდების საშუალება, ერთეული, და ა.შ.

ყოფითი და სამეცნიერო მნიშვნელობების მეშვეობითაც ცნებაში **როლი** მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ასპექტები შემოდის, რომელთა შესახებაც ჩამოთვლილი სიტყვები თავად მეტყველებენ. ხოლო ამ სიტყვების შესაბამისი ტერმინებით აღნიშნული სამეცნიერო ცნებების არსისა და როლის ცნებასთან მათი კავშირის დასადგენად ჩვენს მიერ წარმოებული მრავალწლიანი, სერუპოლიოზური ანალიზის შედეგებზე შემდგომში ვიამბობთ.

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ მიზანმიმართულად დავსვით საკითხი ცნება **როლის** სწორედ წინაისტორიასა და დღევანდებლობაზე, ვინაიდან ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ცნება (და არა სიტყვა) თავის ჭეშმარიტ სიცოცხლეს მხოლოდ იმის შემდეგ იწყებს, როცა ყალიბდება მისი იმდენად ცალსახა და ამომწურავი განმარტება, რომ მას გაიზიარებს არა მხოლოდ ამ პრობლემაში სათანადოდ ჩახედული და მიუკერძოებელი მეცნიერი, არამედ მას (ცნებას) არ გარიყავს ყოველდღიური მეტყველება.

### ლიტერატურა:

1. **ჭიკაძე მ. ვ.** სოციალურ დისციპლინებში არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზის შესახებ. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №5.
2. **Беляев Е. В., Шалин Д. Н.** К понятии роли в социологии. – В кн.: Личность и ее ценностные ориентации. В кн.: Личность и ее ценностные ориентации. Инф. Бюл. АН СССР., М., 1970, вып. 2., с. 22. **Гиллер Б. Л.**, О научном и ненаучном применении понятия «роль» в социологии. В кн.: – Комплексное изучение человека и формирование всестороннее развитой личности. Материалы всесоюз. науч. конф., М., 1978, ч. 3, стр.: 33-36.
3. **Голфаст В. Б.** К истории определения понятия «социальная роль личности» в социологии. Инф. Бюл. Науч. Совет. АН СССР По

- пробл. конкрет. социал. исслед. АН СССР. Сер. Материалы и сообщения, №25. Вкн.: Личность и ее ценностные ориентаций. М., 1979, вып. 2. С. 19-42.
4. **Biddle R. J.**, Thomas E.Y. Role Theory New York. Wiley. 1966.
  5. **Dautsch M.**, Krauss R.M. Theories in social psychology. N.Y. 1965. P.5.
  6. **McDavid J.**, Harary H. Social psychology: individuals, groups, societies. N.Y., 1968. P.27.
  7. **Neiman L. J.**, Hughes J.W. The problem of the concept of role. A re-survey of the literature, in „Social Forces” 1951. v. 30. #2., p.149.
  8. **Sarbin T.**, **Allen V. L.** Role theory. – In: Lindzey G., (end.) The handbook of social psychology. Reading, 1959. p. 223.
  9. **Shaw M.E.**, Constanzo P.R. Theories of social psychology. N.Y., 1970.
  10. **The handbook of Social psychology.** Lindzey J., Aronson E., (Eds). 2nd.ed., 1-5 Reading 1968-1969.

## Medea Chikadze

### The prehistory and present of the concept „role”

#### Summary

After considering the origin, etymology, casual and scientific platform of the word "**role**", concluded the conclusion that, to determine the true nature of the concept of role, we need fully consider the existing diversity. To do this, this one offers a so-called etymological- prehistorical Classification .



## ნანა სოჭოლაშვა-მაჭავარიანი

**სოკ-** ლექსიკონი კირილური მხედრული  
პარტიკულური სახელებში

მცნარეთა მთელ რიგ სახელებში დადასტურებული ლექსიკური ძირე-  
ბი უძველესი წარმოშობისა და სემანტიკისაა. გამოყოფილი ფიტონიმებს,  
რომლებშიც გამოცალკევდება **ხოკ-** ძირი, ესენია:

ა) **გოგრის ჯიმ-სახეობათა** აღმნიშვნელი „მრავალრიგნი“ (საბა) სახე-  
ლების ერთი წყება: **ხოკერა** გოგრა (ოფიც.); **ხოკერა** (იმერ. ლეჩხ.); **ხოკორა**  
(იმერ., ლეჩხ., მეგრ.); **ხოზოკა/ე-ფ. ხეკრა** კვავი (იმერ.); **ხაკარა** გოგრა (კახ.);  
**ხოკორია** კოპეშია, **ხოკო** (მეგრ.); **ხოკორა/ხოკორა/ხოკორა** (სვან.). ეს არის  
ე.წ. „მაგარკანიანი გოგრა“<sup>1</sup>, Cucurbita pepo (მაყაშვილი 1961, 98);

ბ) **რამდენიმე ბალახოვანი მცენარის** სახელები: **ოხოკუა, ოხა-  
კუა/ე** – იმერ. (= ოროვანდი, Arktium); **სახოკია** – მეგრ. (= ძაღლის ენა,  
Cynoglossum); **ხოკანა, ხოკის ბალახი, ღორიხოკა** – იმერ. (= ლემა, Datura  
stramonium); **გახოკია** – მეგრ. (= ცხენისკუდა, Erigeron canadensis L.) (იქვე,  
56, 89, 43, 88).

წარმოდგენილ სახელებში **ხოკ-** ძირი ფორმდება მრავალფეროვანი  
სუფიქსებით. **გოგრის სახელებისათვის**: -ერ-ა; -ორ-ა; -ა; -არ-ა (ქართ.); **ორ-ია;** -  
**ო** (მეგრ.); **ბალახოვანი მცენარეებისათვის**: -ან-ა; -ა და პრეფიქს-სუფიქსებით:  
**ო-უ-ა/ე;** (ქართ.); **სა-ია; გა-ია** (მეგრ.); ამასთან, ქართულში **ხოკ-** ძირი გვევლი-  
ნება მართული მსაზღვრელის ფუძედ (**ხოკის** ბალახი) და თხზული სახე-  
ლის მეორე კომპონენტად (**ღორიხოკა**).

გოგრის სინონიმურ სახელებსა და მისგან სრულიად განსხვავე-  
ბულ ბალახოვან მცენარეთა (თავის მხრივ, ერთმანეთისგან ასევე გან-  
სხვავებულთა) რიგ სახელებშიც დადასტურებულია ერთი და იგივე  
**ხოკ-** ძირი (ცალკეულ სახელებში: **ხაკ-, ხეკ-, ხოზოკ-**. ამის შესახებ იხ. ქვე-

---

<sup>1</sup> შდრ.: „გოგრის ამ სახეობის დამახასიათებლად ითვლება ნაყოფის ქერქის  
სკლერენქიმული ქსოვილებისგან შემდგარი მექანიკური მაგარი ჯავშნის არსებობა...  
ნაყოფის გარეკანი – ქერქი – ისეთი უხეში და მაგარი აქვს, რომ მოხარშვის ან შეწვის  
შემდეგაც არ კარგავს სიმარეს. ქერქს ხშირად ჭურჭლადაც იყენებენ“ (კვაჭაძე 1965,  
48).

მოთ) იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს ფიტონიმები გარკვეული ნიშნით ერთიანდება.

ქართველურ ენათა ქვესისტიმებში **ხოვ-** ძირი გვაქვს არა მხოლოდ მცენარეთა სახელებში, არამედ იგი ხელშესახებად დასტურდება სხვა ლექსიკურ ერთეულებშიც, როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფორმებში. შთამბეჭდავია ამ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მრავალფეროვნება. ეს შეიძლება იყოს:

*შინაურ ცხოველთა და ფრინველთა დაავადების სახელები: ხოვი (დოვი), ხოვირი, ხოვო, ხოვინება (საბა, დ. ჩუბ., ნ. ჩუბ., ქეგლი, მოხ., მთ., ზმ. იმერ., თუშ.); სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი (დამზადებული ხის ან გოგრის ქერქისაგან): ხოვერი (დოვერი) (საბა, ქეგლი, გუდ., მთიულ., ფშ., ხევს., თუშ., იმერხ., ზმ. აჭ., ლაზ.); ხოვრი (ქართლ.); ხოვერაი (მოხ.); ხოვი, ხოვო (მეგრ.), ხოვორაჲ/ხოვორაჲ/ხოვორა (სვან.); ფუტკრის სვა; კარადა-ხოვერი (მთიულ.); თავის ქლა: ხოვერი, ხოვერა (ქეგლი, ზმ. აჭ., იმერ), ხოვო, ხოვორია (მეგრ.); სფარი, გარსი (ზაკანი, ფუფხი, კვახის ქერქი, ნიჟარა): ხოვი, ხობოვერა (ქეგლი), ხობოკური (ზმ. იმერ.), ხოვო (მეგრ.); ზოგიერთი ცოცხალი არსების სახელი: გველხოვერა (ქეგლი; ქართლ.); ხოვურა (მეგრ) „ხვლიკის ერთ-ერთი სახეობა“; ხოვია (იმერ.) „აბანოს ჭია (ტარაკანა)“ (ქეგლი); ადამიანის ან პირუტყვის სიბერის, სიგამბდრის, უძლოურების აღნიშვნელი სახელი: ხოვერაი (იმერხ.) „ძალიან სუსტი, მჭლე ადამიანის მეტსახელი“, ხოვნიჭი (ლაზ.) „მეტად ბებერი“, ხოვი (ჯავახ.) „ბებერი კამეჩი“; ძწირი, ხრიოკი, მოუსავლიანი მიწა – ხოვერი (ზმ. აჭ.); კვიანი ჯოხი – ხოვა (მეგრ.); გამოშრალო, გაფშევილი, უხეში, კანმაგარი: ხოვორია, ხევერია (მეგრ.), გახოვერებული (ქართლ.); თავგადაპარსული, ხოტორა – ხოვორია, დუდხოვორო (მეგრ.); ღვინით გაუმძღარი – ხოვი (ქართლ.); დაბალი და სქელი – ხოვერა (ხევს., მოხ.).*

**ხოვ-** ძირის მქონე ზმნური ფორმებით შეიძლება აღინიშნოს:

ქართულში – პირისახის გლეჯა, კაწვრა, ფხაჭნა (**ხოვა** – საბა, ჩუბინა-შილები; ქეგლი); გასივება (**ხოვრდების** – ხევს.) “სივდება”; მაგარი საგნის თრევა (**ხოვალი** – გურ.); **გახოვერებული** – ქართლ.) „გამხმარი, გაუხეშებული“; მეგრულში – პარსვა; სასჯელის სახით წვერ-ულვაშის ჩამოპარსვა; პირისახის კაწვრა, ფხაჭნა (**ხოვუა**).

როგორც ვხედავთ, **ხოკ**- ძირის მქონე სიტყვათა სემანტიკა არა მხოლოდ მრავალფეროვანია, არამედ ხშირად ურთიერთსაპირისპიროც (მაგ., ერთი მხრივ, გვაქვს: **ხოკერა** „დაბალი, სქელი“ (ხეცს., მოხ.) და, მეორე მხრივ – **ხოკერაი** „ძალიან სუსტი, მქლე ადამიანის მეტსახელი“ (იმერხ.); **ხოკრდების** „სივდება“ ( ხეცს.) და **ხოკოია** „გამომშრალი, გაფშევილი, კანმაგარი“ (მეგრ.).

ქართულში **ხოკ**- ძირის ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება გვაქვს ზმნური ფორმებით<sup>1</sup>, რაც აისახება კიდევ ლექსიკონებში: **ხოკა**- პირისახის გლეჯა (საბა 1993, 426); **ხოკა** (ვიხოკ პირსა), ზ. მ.დავიკაწრავ, დავიფხაჭნი, ვიხოკ ვეფხ. 268; 347; რუსულდ. 882; ვისრ. 130 (დ. ჩუბ. 1984, 1751); **ხოკა**- (ვიხოკ) **ხოკა**, პირის გლეჯა (ვეფხისტ. 267,345) (ნ. ჩუბ. 1961, 470). **ხოკცვა** (ხოკცვისა) სახელი იხოკ[ავ]ს ზმნის მოქმედებისა, კაწვრა, ფხაჭნა (სახისა...). *დედაკაცები ვიშვიშითა და ლოყების ხოკვით უსმენდენ ნუცკიას (მიხ. მრევლ.)*“(ქეგლი 1964, 1485)<sup>2</sup>.

ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებში არ ჩანს ზმნა **ხოკავს**,

---

<sup>1</sup> **ხოკა**, ი: პირსა **იხოკს** 269,4; 672, 2; 1343,1; პირსა **იხოკდეს** 349, 3; 611,3. შეიქმნა... ზოგთაგან **ხოკა** პირისა 1006,2; პირსა **ხოკით**, წვერსა გლეჯით 821,3; გაიყარნეს ტირილითა პირსა **ხოკით** 950,1.ნახე კიდევ **განმხოკლება**, **ნახოკი**, **ნახოკარი** (ვეფხისტყაოსნის სიმფონია 1956, 411). **განმხოკლება**, ა – 2; ხელი მისი **განამხოკლა** 672,2 (იქვე, 51); **ნახოკი**-ი: გაჰყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა 611,3; **ნახოკარი**-ი: ვარდსა, ბრჭყელითა **ნახოკარსა** 842,3; ღვარი სისხლისა, დაწვთაგან **ნახოკარისა** 498,3; დაწვნი ესხნეს **ნახოკარნი** 1102,3 (იქვე, 250).

